პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 212 (19953) — სამშაბათი, 15 სექტემბერი, 1987 წელი. — ◆ ფასი 3 კაპ.

ГУШИН, ДЕДЕС, ХВАЛ

ФАКТИ □ МОВЛЕНА □ КОМЕНТАРИ

ІМ საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ზრუნავენ ფართოდ დანერგონ სამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარა, განსაკუთრებულ წარმატებებსაც აღწევენ. გულმოდგინე შრომით

ფლიური გეგმა შეასრულეს

გარდაბნის რაიონის კრწანისის მეცხოველეობის სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობის მშრომელებმა. გათვალისწინებული 2 ათასი ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 3480 ცენტნერი ხორცი.

წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს მწველავებმა ლ. გუჯარაიძემ და თ. რუხაძემ, რომლებიც ახლა ხუთწლედის მესამე წლის მეორე ნახევრის ანგარიშში შრომობენ და ორ წელიწადში ხუთწლედის სამი წლის დავალებას შეასრულებენ.

▼▼

მალე აცივდება, რესპუბლიკის ბევრ რეგიონში გულმოდგინედ ემზადებიან ზამთრისათვის, ზოგავენ სათბობს, ელექტროენერგიას, კიდევ ერთხელ ამოწმებენ ცენტრალურ გათბობას. მაგრამ ზოგიერთი რაიონის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების ხელმძღვანელებს დაავიწყდათ რომ

ზამთარი გამრჯეთ ასვენებს

ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის საბჭოთა მეურნეობაში გვიან მიხვდნენ, რომ ზამთრისათვის მზადება ადრიდანვე უნდა დაეწყოთ. ერთი ქართული ანდაზა ამბობს, „ზამთარი გამრჯეთ დამსვენეა, გაურჯელთ — დამლონეო“. ზამთარში აქ, ალბათ, ბევრი თავსატეხი ექნებათ. დიახ, თავის დროზე არ გაისარჯნენ და ამიტომაც დღემდე ვერ მოახერხეს მეცხოველეობის ფერმებში თბოგენერატორი ამუშავებინათ, არა აქვთ დიზელ-ძრავა, რომ ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევაში ამუშაონ. ზოგჯერ მუქი სწორედ მაშინ გამოირთვება, როცა წველა მიმდინარეობს. არადა, მთელ ოლქში ეს ერთადერთი ფერმაა, სადაც ძროხებს მექანიკურად წველიან. მეურნეობის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო მიეღოთ საღუმლე საწვავი, მის ნაცვლად სადიზელე საწვავს ხმარობენ. არა აქვთ ცხელი წყალი.

▼▼

საოქტომბრო შრომითს მეტოქეობაში ჩაბმული არიან ოჯახური დინასტიებიც. ერთმანეთს

ეჯიბრებიან დედა-შვილები

ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის ფეიქარ-გამწყობის პელო თედოშვილის ოჯახურ დინასტიაში მორიგი შევსებაა: ქალაქის 64-ე პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა და ფაბრიკაში დედის გვერდით დაიწყო მუშაობა ზეინაბ თედოშვილმა. ეს უკვე მესამე ქალიშვილია, დედის ქვალს რომ გაჰყვა. დედა-შვილებს შორის გაშლილ შეჯიბრებაში ყველაზე მეტად დაწინაურდა ექვსი შვილის ამბზრდელი დედა — პელო თედოშვილი.

მათთან ერთად ფაბრიკის 130-ზე მეტი მქსოველი და ბრიგადა იბრძვის, რათა ხუთწლედის ორი წლის დავალება ოქტომბრის საიუბილეოდ შეასრულონ.

▼▼

მშრომელები მადლიერი არიან გორის რაიონის ტყვიავის კომბეურნეობის თავკაცებისა. სოფელში აშენდა

ახალი ორსართულიანი

საუბნო-საექიმო ამბულატორია. შენობის პირველ სართულზე განლაგდა ამბულატორია. მას აქვს ქირურგიის, თერაპიის, სტომატოლოგიის, გინეკოლოგიის, პედიატრიის, რენტგენოლოგიის და სხვა საექიმო კაბინეტები და ლაბორატორიები.

მეორე სართული დაეთმო 50 საწოლიან საავადმყოფოს. კეთილმოწყობილი პალატები ორი, სამი და ოთხადგილიანია. აქვეა მცირე საოპერაციო, საორდინატორო, სასადილო და სააქტო დარბაზი.

ამბულატორია-საავადმყოფოს მშენებლობა 750 ათასი მანეთი დაჯდა. კომბეურნეობამ ინვენტარ-აპარატი შექმნისთვისაც იზრუნა, შემოიტანა 80 ათასი მანეთის სამედიცინო ხელსაწყო, აპარატურა და დანადგარი.

სადღეისო საზრუნავი

შემოდგომა გვაჩქარებს

ნაადრევად აგრილდა. შემოდგომის ფერისცვალებამ გვამცნო, რომ ახლა მთელი წლის მოსავლისა და სარჩო-საბადებლის აღების, გადამუშავებისა და დაბინავების დაჩქარების დროა. გარდა ამისა, შემოდგომაზე იწყება საგაზო მოსავლისათვის ზრუნვა, ახე ვთქვათ, საფუძვლის ჩაყრა — საშემოდგომო ნვნა-თესვა. ახე რომ, სოფლად ახლა საქმე, რომ იტყვიან, თავზე საყრელია და ყოველი წუთი ძვირად ფასობს. ეს იმიტომაც, რომ შემოდგომამდე სოფლის მშრომელებმა ერთობ დიდი, უზეკეელო შრომა გასწიეს სტიქიურ მოვლენებთან საბრძოლველად. მთაში ზვავებმა, მეწყერმა, დიდთოვლობამ, ბარში გაზაფხულის ხმირწვიმიანობამ და წყალდიდობამ, აღმოსავლეთ საქართველოში სეტყვამ მინდვრებისა და ბაღ-ვენახების საკმაო ნაწილი ძალზე დააზიანა. მაგრამ სოფლის მშრომელებმა გაუტეხელობამ, ზვენი პარტიის მიერ დასახული გეგმებისა და ამოცანების შესრულებისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობამ, ერთსულოვნებამ და ენთუზიაზმმა სტიქიაზე გამარჯვების სასწორი ადამიანის სასარგებლოდ გადაწონა. ჰოდა, შემოდგომის ამ გრილ დღეებში, ხარის თავისი ნაშრომით გამრჯე კაცი და რაც მოიწია, რაც ავდარს გადაარჩინა, უკლებლივ უნდა დაბინაოს.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, საზოგადოებრივი მეურნეობები, პარტიის სასოფლო რაიკომები, რაისამეურნეოები და რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებათა ხელმძღვანელები ყველა კომუნისტი ვალდებული არიან სოფლის მშრომელებს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მოსავლის აღებაში, გადამუშავებასა და დაბინავებაში. მთავარი კი ის არის, რომ მოწეული ჭირნახული არც ერთი კილოგრამი არ დაკარგოთ, ყველაფერს თავისი ადგილი მივუნიშნოთ.

როგორ მიმდინარეობს მოსავლის აღება და დაბინავება? რა არის საჭირო იმისათვის, რომ უდანაკარგოდ დავამთავროთ თავთავიანი და პარკოსანი კულტურების აღება, ჩაის ფოთლის კრეფა, რეფელი, ბოსტნეულ-ბაღჩეულის, კარტოფილის, სიმინდის, საკვები კულტურების, ხილის და სხვა სახის მოსავლის უდანაკარგოდ დაბინავება?

აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელებს ბევრი, ძალზე ბევრი გადაუდებელი საქმე და საზრუნავი აქვთ. შემოდგომის დამდეგისათვის თავთავიანი და პარკოსანი მარცვლეული კულტურები აღებული იყო 124-792 ჰექტარზე, ანუ ნათესი ფართობის 86 პროცენტზე. ჰექტარზე საშუალოდ 24 ცენტნერია მიღებული, ანუ შარშანდელთან შედარებით ერთი ცენტნერით ნაკლები. რა თქმა უნდა, ამას ობიექტური (ეროზია, სეტყვა, ვვალვა) მიზეზები აქვს, მაგრამ არც სუბიექტური მიზეზებია ნაკლები. ავიღოთ თუნდაც ხაღნაღისა და ნითელწყაროს რაიონების ბოდბისხევისა და ჯაფარიძის საზოგადოებრივ მეურნეობათა იჯარული ბრიგადების შრომის შედეგები. ბოდბისხეველთა ბრიგადებმა (ბრიგადირები ც. მილაშვილი, ვ. პაკლიაშვილი, ა. ვარდიაშვილი) ჰექტარზე 30-30 ცენტნერი პურეული უამინდობის პირობებში მოიწიეს. აღსანიშნავია აგრეთვე ინტენსიური ტექნოლოგიის ნათესებიდან მიღებული მოსავალი ჰექტარზე საშუალოდ 32 ცენტნერი,—შარშანდელი 31 ცენტნერის ნაცვლად.

წლევანდელი შეცდომები მემანდრეკებისა და მექანიზატორებისათვის, განსაკუთრებით კი მათი ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისათვის კარგი გაკვეთილი უნდა იყოს. გაკვეთილი კი ასე უნდა წარმოიდგინონ: წელს მარცვლეული კულტურები ინდუსტრიული მეთოდით 14.010 ჰექტარზე ეთესათ და ამ უამინდობაში მაინც უხვი მოსავალი მოიწიეს. აქედან სასარგებლო დასკვნის გამოტანა კარგ სპეციალისტსა და ხელმძღვანელს არ უნდა გაუჭირდეს, ინდუსტრიული მეთოდით ნათესი ფართობები საშემოდგომო თესვის დროს უნდა გაორმაგდეს, გასამაგდეს. საამისო ტექნიკა, რეკომენდაციები მათ ხელთა აქვთ და საჭირო ნვნა-თესვის აგროვადები, წესები და ნორმები საგულდაგულოდ დაიცვან. ამასთან წლევანდელი საშემოდგომო თესვისათვის საგულდაგულოდ უნდა მოამზადონ ჯანსაღი თესლი, რადგან ყველამ კარგად იცის ხალხური სიბრძნე — რასაც დათესავ, იმას მომკიო. ამასობაში საშემოდგომო ნვნა-თესვა კანტიკუნტად დაიწყო, საშემოდგომო ნათესებისათვის ნიადაგი 93.020 ჰექტარზე უკვე მოიხნა, აქედან 8.127 ჰექტარი სამარცვლედ და მწვანე საკვებად უკვე დაითესა. საშემოდგომო ნვნა-თესვა დიდი და პასუხსაგები პერიოდია, და ეს კამპანია სასოფლო რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, განსაკუთრებთ ნითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, საგარეჯოს, გარდაბნის აგროსამრეწველო გაერთიანებათა და საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა ყოველდღიურ საზრუნავად უნდა გაიხადონ.

შემოდგომაზე სოფლად საქმე ულავი და საშერია. ეს იმის როდი ნიშნავს, რომ ზოგი რამ მივაფუძნეროთ. სოფლად კარგ პარტიულ თუ სამეურნეო ხელმძღვანელად ის ითვლება, ვინც ყოველგვარ სამუშაოს ყოველთვის ჯეროვან ყურადღებას აქცევს, რეზერვებს, რეზერვებს ისე გაანაწილებს, რომ არც ერთი საქმე არ ჩამორჩეს.

მეჩაიეობის რაიონებისათვის ახლა მთავარია ნრმატებით დაამთავრონ ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფა, ამასთან ინარუნონ სიმინდის აღებისათვის, პირუტყვის საკვების საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის. ჩაის მოსავალს წელს კარგი პირი უჩანს. ამაზე მეტყველებს მათი შრომისა და გარჯის შედეგი — მოკრეფილია 531.375 ტონა ნედლეული. ისიც აღსანიშნავია, რომ წლევანდელ ნედლეულის ხარისხისათვის ბრძოლა, ნინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ თქმა იმისა, რომ ჩაის ფოთლის კრეფისა და საერთოდ მეჩაიეობის საქმე უნაკლო იყოს, შეცდომა იქნებოდა, რადგან გადასაწყვეტი პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია, უმთავრესი კი ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესება და საუცხოო ქართული ჩაის გამოშვებაა. ეს პრობლემა მაშინ გადაწყდება, როცა მობერებული ჩაის პლანტაციები განახლდება, როცა ყველა ბუჩქიდან მივიღებთ იმდენ მაღალხარისხოვან ნედლეულს, რამდენის მოცემაც შეიძლება. ქართული ჩაის ხარისხისათვის ბრძოლა და ზრუნვა კვლავ მეჩაიეობის რაიონების პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელთა და ყოველი მეჩაიის დღენიადაგ საფიქრალი უნდა იყოს. ამის შესახებ იყო საქმიანი სხვა-ბაასი სკკპ ცენტრალური კომიტეტის თათბირზე.

ბოლო დროს ზოგან სათანადო ყურადღება აღარ ექცევა ჩვენს ეროვნულ კულტურას — ვაზს. ყურძენი მარტო ღვინო და არაყი რომ არ არის, ამ ბოლო წლებში დამტკიცდა. ყურძნისაგან ბევრნაირი პროდუქტები მზადდება. საქართველოს მევენახეთა და წარმოების მუშაკთა გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ დღენიადაგ ზრუნავდნენ ქართული ღვინისა და კონიაკის, ტკბილი სახმელებისა და სხვა პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. წელს 515 ათასი ტონა ყურძენი უნდა დამზადდეს. აქედან უმეტესობა საუცხოო ღვინოების დასამზადებლად უნდა გამოიყენოთ, ბევრი კი ყურძნის წვენისა და სხვა პროდუქტების წარმოებას მოსმარდეს.

რთველი დაიწყო კახეთის რეგიონის ბევრ სოფელში. უხვი რთველი აქვთ ნითელწყაროს, სიღნაღის და სხვა რაიონების მეზვრეებს. მალე დედაქალაქისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების, საშუალო სკოლების მოსწავლეები რთველი-87-ის აქტიური მონაწილენი გახდებიან. მათ ხელი უნდა შეეწყოთ, რათა რთველი მარილაც ზეიმური, უხვი და სახალისო იყოს.

ტრადიციულად ჩვენს დედაქალაქში ხილეოსტნეულის საშემოდგომო ბაზრობები იმართება ქუჩებსა და მოედნებზე... წლეულს, რა თქმა უნდა, უამინდობამ დაღი დასვა მოსავალს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ, რაც მოვიწიეთ, უკლებლივ არ ავიღოთ, არ დავაბინაოთ. 192.000 ტონა კარტოფილის, 400.000 ტონა ბოსტნეულის, 450.000 ტონა ხილისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. არც ერთი კილოგრამი ბოსტნეული, კარტოფილი და ხილი არ უნდა დარჩეს მინდვრად და ბაღებში, ყველაფერი უკლებლივ უნდა დავაბინაოთ და გამოეყენოთ. ეს უწინარესად გარდაბნის, მარნეულის, წალკის, ახალქალაქის, ახალციხის და სხვა რაიონებს ეხებათ.

ნუოუ პირუტყვის საკვების მომარაგებას დავივიწყებთ. უხვში და ნვნინი საკვები სამყოფად უნდა მოვიმარაგოთ. საშური განსაკუთრებით მთის რაიონების საკვებმომპოვებლებს აქვთ. აქ მალე დაზამთრდება. მანამდე საკუთარი რეზერვები მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ.

„კომუნისტის“ რედაქციას შექმნილი აქვს საგუშაგოები ლილოს ბოსტნეულის ბაზაში, მეჩაიეობის რაიონებში, ხოლო საკვებმომპოვებლთა წასახალისებლად საქართველოს სახაგრომრეწვთან ერთად დაწესებული აქვს სამი გარდამავალი დროშა და ფარადი ტელევიზორები იმ საზოგადოებრივი მეურნეობისათვის, რომელიც მეტ და მაღალხარისხოვან საკვებს დააგროვებს.

შემოდგომა გვაჩქარებს, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა მუშაკს, ყველა მშრომელის საპატიო ვალია შემოდგომის ეს დღეები გამოიცხადონ დამკვრელურად, იმრომონ ისე, რომ დიდი ოქტომბრის საიუბილეო ზეიმს წელგამართული და ხელდაშვენებული შეეგებონ.

მეჩაიეობა: თვისებრივად ახალ საფეხურზე

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 11 სექტემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს ჩაის წარმოების ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. კ. ლიგაჩოვი, ვ. პ. ნიკონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი, საქართველოსა და აზერბაიჯანის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის მდივნები, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, აგროსამრეწველო კომიტეტების, მეჩაიეობის მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების ხელმძღვანელები, მეცნიერები, წარმოების მოწინავენი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირი გახსნა ი. კ. ლიგაჩოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე დასახული დაჩქარების პოლიტიკის პირველი რიგის ამოცანებს შორის წამოყენებულია მოთხოვნა უზრუნველყოთ სურსათით ქვეყნის მოსახლეობის სტაბილური მომარაგება. როგორც ცნობილია, კვების ძირითად პროდუქტებში შედის ჩაიც, მაგრამ ჩაის წარმოებასთან და მის ხარისხთან დაკავშირებით შეიქმნა რთული ვითარება, ამასთან საკითხთა სიმწვავე მატულობს. ეს მოითხოვს სერიოზული, კარდინალური ღონისძიებების განხორციელებას.

მოთხოვნა ჩაიზე ქვეყანაში დღენიადაგ იზრდება, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მისი მოხმარება 1,8-ჯერ გადიდდა და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 910 გრამს მიაღწია. სპეციალისტთა პროგნოზების თანახმად, ჩაის მოხმარება მომავალ 15 წელიწადში გაიზრდება და დაახლოებით მეოთხედით გადიდება.

ამავე დროს ვითარება ქვეყნის ჩაის პლანტაციებში სერიოზულად გართულდა. ჩაის ფოთლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებას გამოდევნებულნი საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში გადავიდნენ ეგრეთ წოდებულ უხეშ კრეფაზე, როცა პრაქტიკულად იღებენ ჩაის ბუჩჩის თითქმის მთელ ბიომასას, მათ შორის გაუხეშებულ და უხეშ ფოთოლს. ასეთი კრეფა დამღუპველ ზემოქმედებას ახდენს მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე.

მეჩაიეობის მეურნეობებში ხანგრძლივი დროის მანძილზე პრაქტიკულად არ წარმოებდა პლანტაციების გაახლებაზრდაები, ძველი პლანტაციების ამოძირკვა და ახალთა გაშენება. ახლა საქართველოში, რომელიც ჩაის ძირითადი მწარმოებელია, პლანტაციების თითქმის 45 პროცენტი ამორტიზებული და ხელახლა გაშენებელია. აგროტექნიკის უგულებელყოფას, გარკვეულწილად პლანტაციების არასწორ ექსპლოატაციას ჩაის ხარისხის მკვეთრი გაუარესება მოჰყვა. მან დაკარგა თავისი მარკა.

მეჩაიეობაში შექმნილ ვითარებაში, ზაზგასმით აღნიშნა ი. კ. ლიგაჩოვმა, არის სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ბრალის წილიც, რომელიც აწესებდა ჩაის ფოთლის შესყიდვის სულ უფრო მზარდ ვეგმებს მიღწეული დონის პრინციპით, პლანტაციების მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. ბრალის მნიშვნელოვანი წილი მოდის აგრეთვე მეჩაიეობის რესპუბლიკების ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და აგროსამრეწველო ორგანოებზე. 1980 წლიდან მოყოლებული, შესყიდვის საგეგმო მატება საშუალოდ წელიწადში ოთხ პროცენტზე ოდნავ მეტი უნდა ყოფილიყო, ფაქტობრივი ზრდა კი 12 პროცენტზე მეტს შეადგენდა. სულ უფრო მეტ ჩაის ფოთოლს კრეფდნენ, ფულს ბევრს იღებდნენ, ხარისხი კი სულ უფრო უარესდებოდა.

ამასთან არ ამოქმედებულა მრავალი ფაქტორი, რომლებიც მოსავლის ზრდის. მაგალითად, რწყვა, რომელიც ჩაის პლანტაციებში იძლევა მოსავლის ბალლობის 30 პროცენტით მატებას, ამასთან აუმჯობესებს ჩაის ფოთლის ხარისხს. მაგრამ ირწყვება ნარგავების 20 პროცენტზე ნაკლები.

როცა საქართველოში ვიუაჯი, თქვა ი. კ. ლიგაჩოვმა, მომაწოდეს მონაცემები, რომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე არც ერთ ჰექტარ ჩაის პლანტაციაში არ აშენებულა სარწყავი სისტემები, იმით კი, რომლებიც წინათ აშენდა, სასწრაფო რეკონსტრუქცია სჭირდება.

ზმარად ბეზრებენ სახსრების ნაკლებობას, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ საქმე სხვა რამ არის, სახელდობრ კი მოამაგოდებულთა დარგისადმი, რომელიც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის მხოლოდ 5 პროცენტს იღებს, 27 პროცენტ მთლიან პროდუქციას კი იძლევა.

შემდეგ: შეუწყნარებლად ნელა ითვისებენ ახალი, უფრო მოსავლიანი ჯიშის ჩაის ნარგავებს. მაგალითად, „კოლხეთის“ ცნობილი ჯიში, რომელიც მოსავლიანობით ერთ-ნახევარჯერ აღემატება ადგილობრივ ჯიშებს და კარგი ხარისხის ჩაის იძლევა, რეკომენდებული იყო დასახელებულად ჯერ კიდევ 1974 წელს, მაგრამ დღეს „კოლხეთი“ მხოლოდ პლანტაციების 5 პროცენტზეა გაშენებული.

ჩაის პლანტაციებში თითქმის არ შეაქვთ ორგანული სასუქები, და ბევრი ისეთი რამ არ კეთდება, რაც საჭიროა.

კვლავ შეუწონასწორებელია ჩაის ფოთლის წარმოების მოცულობასთან ჩაის ფაბრიკების სიმძლავრენიც. არსებითად, ნამდვილად არ დაწყებულა მათი ტექნიკური განახლება.

წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვაში დაბალია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების როლი. სხვათა შორის, მას ვერც კი ეუწოდებთ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას, რადგან მის შემადგენლობაში არ არის არც ერთი მეჩაიეობის კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

საქართველოში ახლა იქმნება აგროსამრეწველო კომბინატები, რომლებშიც შედიან ჩაის ფაბრიკები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ვფიქრობთ, რომ ეს ჩაის წარმოების ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეკონომიკური შინაარსი ამ დროს ძველი რჩება: კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას კვლავ უწესებენ ჩაის ფოთლის, ესე იგი „შაულდური“ და არა სპბოლოო პროდუქტის ჩაბარების ვეგმებს. ვფიქრობთ, რომ დროა მეჩაიეთა და გადამუშავებელთა შრომას მზა პროდუქტით ვაფასებდეთ. სხვათა შორის, ასე ვაფასებთ ახლა მეგობმბეთა მუშაობას. ჩვენში უკვე მთელი რესპუბლიკები გადავიდნენ ასეთ მეჩვენებელზე.

სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს ჩაის წარმოებაში მთელი ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფას, ჩაის წარმოებასა და გადამუშავებაში მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულებას, კოლექტიური და საოჯახო იჯარის, წარმოების ყველა ეტაპზე მეურნეობრიობის ეკონომიკური მეთოდების დანერგვას. აგრეთვე უნდა განვიხილოთ ფასების დიფერენციაციის საკითხები, ჩაის მაღალი ხარისხისათვის მნიშვნელოვნად მეტი, დაბალი ხარისხისთვის — ნაკლები უნდა გადავიხადოთ.

ასევე უნდა განვიხილოთ მეჩაიეობის ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის სქემები, მაქსიმალურად გავათავისუფლოთ ისინი სხვა კულტურების წარმოებისაგან.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მეჩაიეობის რესპუბლიკების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს დაავალა მომზადონ საერო წინადადებანი, დასახონ შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის გზები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარეს პირველმა მოადგილემ ე. ი. სიზენკომ. მან თქვა, რომ ჩაის პლანტაციებს სსრ კავშირში 82 ათასი ჰექტარი უკავია. მათი ძირითადი ნაწილი, 80 პროცენტზე მეტი, თავმოყრილია საქართველოში, რომელიც საბჭოთა ჩაის 95 პროცენტზე მეტს იძლევა. აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის წილად მოდის ფართობის 16,3 პროცენტი და რუსეთის ფედერაციის წილად — 2,2 პროცენტი. ამ პროდუქტის წარმოებამ ქვეყანაში 150 ათას ტონას მიაღწია. მის წარმოებაში ჩაბმულია 527 სპეციალიზებული მეურნეობა. ჩაის ფოთოლს იღებს 150 ფაბრიკა, რაც შესაძლებლობას იძლევა მთლიანად დროულად გადამუშავდეს დასამზადებელი ნედლეული. მაგრამ ამ ბოლო წლების მანძილზე მდგომარეობა მეჩაიეობაში მკვეთრად გაუარესდა. შეფასება რა შექმნილი ვითარება პარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა პოზიციებიდან, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა დაუშვებლად შეანელეს მუშაობა მეჩაიეობის განვითარებისათვის, დროულად არ მისცეს პრინციპული შეფასება ამ დარგისათვის პასუხისმგებელი კადრების სამმართველოს, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ აგროტექნიკური მოთხოვნათა უხეში დარღვევების ფაქტებს. ჩაის ფოთლის გაუმართლებლად ფორსირებულმა კრეფამ, ნარგავების არადროულმა ჯიშობრივმა და ასაკობრივმა განახლებამ საგრძნობლად გააუარესა პლანტაციების მდგომარეობა და ჩაის ხარისხი. შემთხვევით როდი მატულობს მოსახლეობის საჩივრები და საყვედურები ჩაის ხარისხის გამო. შემაშფოთებელია ისიც, რომ მაღალი ტრიბუნებიდან წარმოთქმულ ფიერ არაერთგზისი ავტორიტეტული დაპირებების მიუხედავად, საქმის მდგომარეობა არ უმჯობესდება.

ორატორმა გააანალიზა ასეთი მდგომარეობის მიზეზები. მთლიანი მაჩვენებელს გამოდევნებული მრავალი მეჩაიეობის მეურნეობა ზრდიდა ჩაის ფოთლის წარმოებას პლანტაციების რეალური ბიოლოგიური რესურსების გაუთვალისწინებლად. მაგალითად, 15 წელიწადში ჩაისათვის გამოყოფილი ფართობი ქვეყანაში 7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ჩაის ფოთლის მოლიანი მოსავალი 2,3-ჯერ გაზიდდა. ჩვენი კლიმატური პირობებისათვის ოპტიმალური ჰექტარზე 6-7 ტონის მოკრეფა, ცალკეულ პლანტაციებში კი ეს მაჩვენებელი 9-10 ტონამდე და მეტად გაიზარდა. უხვი მოსავალი ჩვენში დიდ მიღწევად საღებოდა. ამას ხელს უწყობდა მიღწეული დონისაგან დაგეგმვის არსებული პრაქტიკა და მოქმედი ეკონომიკური მექანიზმიც. წამახალისებელ ღონისძიებათა მთელი სისტემა დღეს ორიენტირებულია ჩაის ფოთლის მაქსიმალურ კრეფაზე პლანტაციების მდგომარეობის გაუთვალისწინებლად.

საკრეფი მანქანების დაბალი ტექნიკური დონეც ახდენს გავლენას პროდუქციის ხარისხზე. 2-3-ფოთლოვანი დუყების ნაცვლად იკრიფება 8-9-ფოთლოვანი ყლორტები. ამავე დროს კრეფენ მთელ ბიომასას, მოსაკრეფად მოუმწიფებელი დუყებით დაწყებული და უხეში, ხმირად კი მარშანდელი ფოთლებით დამთავრებული.

ამგვარად საქართველოს სს რესპუბლიკაში მეთოთმეტე ხუთწლედის წლებში დადგენილი გეგმის გადაჭარბებით დამზადდა 320 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ანალოგიური ვითარება შეიქმნა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაშიც. ჰრაქტიკაში ხისტი კრეფის დანერგვას, კრეფის ჯერადობის 8-10-დან 3-4-მდე შემცირებას მოჰყვა ჩაის ნარგავების ნაადრევი გამოფიტვა, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუარესება.

ისეთი აგროტექნიკური ღონისძიებების შეუსრულებლობამ, როგორიც არის ბიოლოგიურად ძველ ჩაის პლანტაციებში დიდად პროდუქტიული ჯიშების ხელახალი ჩაყრა, ბუჩქების ნახევრად მძიმე და მძიმე გასხვლის მონაცვლობა, გამოიწვია მდგომარეობა, როცა ამჟამად ფართობის 45 პროცენტი საქართველოში დაუყოვნებელ განახლებას მოითხოვს. მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში ამოძირკვულია მხოლოდ 797 ჰექტარი მცირეპროდუქტიული პლანტაციები, ანუ აუცილებელი ფართობის 3 პროცენტი.

აგროტექნიკისა და კრეფის წესების უხეშ დარღვევას მოჰყვა პლანტაციების დიდი სიმეჩხრე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში. იგი აქ 25 პროცენტს აღწევს. რაც ფართობის ათას ხუთასი ჰექტარით შემცირების ტოლფასია.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს რესპუბლიკური ორგანოების, მთელი რიგი საკავშირო სამინისტროების, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტროთა დამოკიდებულება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მიერ მეჩაიეობის განვითარების საკითხებზე ადრე მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის.

საკმარისი არ არის „კოლხეთის“ ჯიშის ნერგების წარმოების ტემპი. დავალება წელიწადში 20 მილიონი ცალი ნერგის წარმოებას ითვალისწინებს, ახლა კი მხოლოდ 12 მილიონი იწარმოება.

საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოები არ ასრულებენ მთავრობის დავალებებს იმის თაობაზე, რომ ჩაის მოსაყვანად გამოსადეგი მთელი მიწები, ასათვისებლად მათი მომზადების კვალობაზე ჩაის პლანტაციებისათვის გამოიყენებოდეს.

ნელა ხორციელდება ჩაის გადასამუშავებელი ფაბრიკების ტექნიკური განახლება, საწარმოებში არასაკმაოსად ინერგება ნედლეულის გამოყენების უნარჩენო ტექნოლოგია. არის ბევრი მაგალითი, როცა ტექნოლოგიური რეჟიმების დარღვევის გამო კარგი ნედლლეულისაგანაც კი ცუდი ხარისხის პროდუქციას იღებენ.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტროებ მ ა ვერ მოაგვარეს დიდმწარმოებლური მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვება ინტენსიური ტექნოლოგიებით ჩაის მოყვანისა და ჩაის საწარმოთა ტექნიკური განახლებისათვის.

მომხსენებელმა თათბირის მონაწილეებს გააცნო 1988-2005 წლებში ჩაის პლანტაციების დაჩქარებული აღდგენისა და ჩაის ხარისხის გაუჯობესებისათვის დასახული ღონისძიებები. სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს რუსეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში ჩაის პლანტაციების სამელიორაციო სისტემების კომპლექსური მშენებლობა, აქედან 91 ათასი ჰექტარის გასარწყავება. დაგეგმილია ჩაის მრეწველობის საწარმოებში საწარმო სიმძლავრეების დამატებით ამოქმედება და მოქმედი ფაბრიკების ტექნიკური განახლება. სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს უწესდება მეჩაიეობის დარგისათვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამზადების დავალება.

გათვალისწინებულია მაღალი ხარისხის ჩაის წარმოებისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის გადამამუშავებელი საწარმოების ეკონომიკური და მატერიალური სტიმულირების ღონისძიებები. დასახულია 1988 წლის იანვრიდან შემოღებულ იქნეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ახალი შესასყიდი ფასები, რაც სტიმულს მისცემს ნედლეულის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას.

(დასასრული მე-2 გვ.)

მემკვიდრე

მეჩაიეობა: თვისებრივად ახალ საფეხურზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

იმისათვის, რომ დავაჩქაროთ ჩაის პლანტაციების აღდგენა, გავუმჯობესოთ ჩაის ხარისხი და მომავალში მტკიცედ გავზარდოთ მისი წარმოება, საჭიროა შევინარჩუნოთ მეცნიერულად დასაბუთებული პლანტაციების მოსავლიანობა, განვახორციელოთ საშუალო და მძიმე სხვენა და ხელახლა გავაშენოთ პლანტაციები. ბევრ მეურნეობაში ეს აგროტექნიკური მეთოდები არ გატარებულა, და ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ მათს განხორციელებას. სამეცნიერო დაწესებულებების მონაწილეობით უნდა მოვაწყოთ მთელი ჩაის პლანტაციების საგულდაგულო ინვენტარიზაცია.

ამ ღონისძიებების მეოხებით უკვე გაისიდან მკვეთრად გაუმჯობესდება სამამულო ჩაის ხარისხი, შემდეგ კი გარკვეულწილად ანაზღაურდება ჩაის დანაკლისი. უკვე 1991 წელს მთლიანად აღდგება ჩაის პლანტაციები საქართველოს ყველა მეურნეობაში.

ბევრი რამ არის გასაკეთებელი აზერბაიჯანის ჩაის პლანტაციების ინტენსიურობის გასაზრდელად, სადაც აგრეთვე საკმაოდ ირღვეოდა საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებათა ვადები.

საქართველოსა და აზერბაიჯანში არის ჩაისათვის გამოსადეგი მიწები, რომლებიც უკავია ბოსტნეულს, სიმინდს, თამბაქოსა და სხვა კულტურებს. მათი ჩაისათვის გამოყენება ეკონომიკურად უფრო გამართლებულია. ჩაის ფართობების გასაზრდელად დიდი შესაძლებლობანია კოლხეთის დაბლობზე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის სახაგრომრეწვამ კიდევ ერთხელ უნდა განიხილონ აქ ახლად ამოქმედებული მიწების გამოყენების საკითხი, რათა ჩაისათვის ვარგისი მთელი ფართობი ამ კულტურას დაეთმოს.

სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის სამინისტრომ ერთთორად მაინც უნდა დააჩქაროს მიწების მელიორაციის ტემპი. ჩვენ შეგვიძლია 2000 წლისათვის ქვეყანაში ჩაისთვის გამოვყოთ სულ ცოტა 132 ათასი ჰექტარი, აქედან საქართველოში — 110 ათასი ჰექტარი, აზერბაიჯანში — 20, კრასნოდარის მხარეში — დაახლოებით 2 ათასი, და მივიღოთ 220—230 ათას ტონამდე სამამულო ჩაი.

ძირეულად უნდა გარდაქმნან თავიანთი საქმიანობა სამეცნიერო დაწესებულებებმა, რომლებიც მეჩაიეობის პრობლემებზე მუშაობენ. ჯერჯერობით კი გამოკვლევების შედეგიანობა მეცრა, მეცნიერთა ძალები კონცენტრირებულია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო გაერთიანებებში, აგრეთვე ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებში, მაგრამ ბევრი არაფერი გაუკეთებიათ დარგში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის გამოსვლაში აღინიშნა, რომ მეჩაიეობის გარდაქმნას უამრავი გადასაჭრელი პრობლემა გამოავლინა. კოლეშურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამაკმაყოფილებლად ვერ ხორციელდება ჩაის პლანტაციების აღდგენა-გაფართოება, აჩჩარებენ ჩაის ფოთლის კრეფას, რამაც გამოფიტა ჩაის ნარგავების მნიშვნელოვანი ნაწილი და ბოლოგიურად ნაადრევად დააბერა და ხარისხი გაუარესა. ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრისას პირობებს გვიკარნახებდა „თვლიანი" მიდგომა. მაგალითად, ბევრი რაიონი და მეურნეობა, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებდნენ ჩაის ფოთლის დამზადების გეგმას, სათანადოდ არ ზრუნავდნენ პლანტაციების განახლებისათვის. აგროტექნიკის სრულყოფისათვის.

ხელმძღვანელებს გამოუმუშავდათ სტერეოტიპი: ოღონდ ბევრი იყოს, დანარჩენი მოგვარდებაო. დარგში წამოჭრილი პრობლემები მნიშვნელოვანწილად მეურნეობრიობის იმ ექსტენსიური მეთოდების შედეგია, რომლებიც ჭარბობდა სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენს ეკონომიკაში.

მეჩაიეობის ძირეულად გარდატების უზრუნველყოფა, თქვა შემდეგ ორატორმა, ერთ წელიწადში არ მოხერხდება. ხანდა გავუმჯობესოთ მცენარის ბიოლოგიური თვისებები და ავაღორძინოთ იგი. ისიც გვესმის, რომ ჩაის ხარისხის გაუმჯობესება სრულიადაც არ ხსნის დღის წესრიგიდან რაოდენობის საკითხს.

რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია მზად არის იკისროს ასეთი პასუხისმგებლობა. ამავე დროს იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ცრობლემებით დაინტერესდებიან და გაგებით მოეკიდებიან არა მარტო ის საკავშირო სამინისტროები და უწყებები, რომლებიც დაკავშირებული არიან მეჩაიეობასთან. რამდენადმე უნდა შევცვალოთ ჩვენი წარმოდგენა ჩაიზე, როგორც დიდად რენტაბელურ კულტურაზე, რადგან ყოველი ჰექტარი პლანტაციის გაშენება და დამუშავება, სანამ იგი სრულ მოსავალს მოგვცემდეს, კოლეთის დაბლობში დაახლოებით 125 ათასი მანეთი ჯდება.

მოსაწესრიგებელია მზა პროდუქციის ფასები, რომლებიც უკეთ უნდა შეესაბამებოდეს ახალი სამეურნეო მექანიზმის მოთხოვნებს.

სერიოზულად უნდა გადაისინჯოს რწყვის, მეჩაიეობის მექანიზაციის საკითხები. მაგალითად, ქარხანა „საქსოფლმანქანამ" მიერ გამოშვებული ტექნიკა უკვე მეოთხედი საუკუნეა მუშაობს და მას სერიოზული კონსტრუქციული გაუმჯობესება არ ღირსება. ხელის აპარატები ძალზე ხმაურიანი და ვიბრაციულია და, როგორც მობილური მანქანები, ძირითადად კანკუთვნილია ფოთლის მთლიანი კრეფისათვის.

დღემდე არ გადაწყვეტილა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ოვითმავალი შასების, ხელის ჩაის სასხლავი და ჩაის საკრეფი აპარატების, ჩაის ბუჩქების ამოსაძირკვი საფრეზავი მანქანების ამოშვების საკითხი. იმედი გვაქვს, რომ მხარს დაგვიჭერენ საოფლის მეურნეობისა და მანქანათმშენებლობის სამინისტროები. მწვავედ დგას გადამუშავებელი მრეწველობის პრობლემები.

ახლა მუშავდება წინადადებანი, რომ მეჩაიეობის წამყვან რაიონებში შეიქმნას დამოუკიდებელი მსხვილი აგროფირმები, სადაც თავმოყრილი იქნება მთელი ციკლი — ჩაის ფოთლის დამზადებით დაწყებული და პროდუქციის გასაღებით დამთავრებული.

დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მოგვიწევს იმისთვის, რომ ავამაღლოთ დარგის პრესტიჟი, გვაზარდოთ კადრების პასუხისმგებლობა, ჩავუნერგოთ მათ შრომისადმი პატიოსანი, კეთილსინდისიერი დამოკიდებულების გრძნობა.

მეჩაიეობის ინტენსიფიკაციის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა აზერბაიჯანის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ მ. ს. მამედოვმა. მან თქვა, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში დარგის განვითარებას ძირითადად საფუძვლად ედო ექსტენსიური მეთოდები. კრეფის ტექნოლოგიის უხეში დარღვევები აფერხებდა მცენარეთა ვეგეტაციას, ნაადრევად აბერებდა ბუჩქებს, ამეჩხერებდა პლანტაციას და აუარესებდა ჩაის ხარისხს. ამ უძვირფასესი პროდუქტის წარმოების შემდგომ გაზრდას ინტენსიური ფაქტორების გამოყენებით, აგრეთვე პლანტაციების გაფართოების გზით ვაპირებთ.

რესპუბლიკაში შემუშავებული ღონისძიებანი საშუალებას მოგვცემს საბოსტნე მიწების რაციონალური გამოყენებისა და ახალი სარწყავი მიწების ბრუნვაში მოქცევის გზით ჩაის პლანტაციების ფართობები პერსპექტივაში გავზარდოთ 21 ათას ჰექტარამდე, ამასთან ჩაის ფოთლის წარმოება გავადიდოთ 80 ათას ტონამდე 2005 წლისათვის, შემდგომში კი ვაწარმოოთ 90 ათას ტონაზე, ანუ თითქმის სამჯერ მეტი.

ამ ამოცანის შესრულება დამატებით კაპიტალურ დაბანდებებს მოითხოვს, განსაკუთრებით წყლით უზრუნველყოფის პრობლემის გადასაწყვეტად. მისი განხორციელებისათვის რესპუბლიკურმა ორგანოებმა თავიანთი წინადადებანი წარუდგინეს შესაბამის საკავშირო ორგანოებს.

პლანტაციების გაფართოების პროგრამის შესრულებაში ძირითადი ყურადღება დაეთმო ინტენსიური უხმაოსავლიანი ჯიშების გაშენებას. ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკის მეცნიერებმა გამოიყვანეს და დაარაიონეს ახალი ჯიშის ჩაი „აზერბაიჯან-2" და „აზერბაიჯან-4", დაიწყო „კოლხეთის" ჯიშის დანერგვა. შენდება ხარისხიანი სადედე-სათესლეები, სანერგეები, რომლებსაც ნისლწარმომქმნელი დანადგარები იქნება. დაიწყო ძლიერ გამეჩხერებული პლანტაციების ხელახლა გაშენება 1700 ჰექტარ ფართობზე, რაც მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის დამთავრდება.

აღნიშნული ღონისძიებების დანერგვა კრეფის, ნარგავების მოვლის აგროტექნიკურ წესებთან ერთად შესაძლებლობას მოგვცემს მკვეთრად გავაუჯობესოთ ჩაის ხარისხი. ამ მიზნით ხორციელდება ჩაის ფაბრიკების მშენებლობა და ტექნიკური განახლება. მიმდინარე ხუთწლედში ჩაის გადამუშავების სიმძლავრენი წელიწადში 14 ათასი ტონით გაიზრდება.

ორატორმა წამოაყენა წინადადება დაარჩარონ ახალ სახეობათა დიდწარმოებლური მოწყობილობის შემუშავება და გამოშვება, რომელიც თანამედროვე მოთხოვნების შეესაბამება.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დირექტორის მოადგილე ვ. პ. ცანავა შეეხო სამეცნიერო კვლევის გაღრმავების პრობლემებს, წარმოებაში მისი შედეგების უსწრაფესად დანერგვას.

მეცნიერებმა სპეციალისტებთან თანამეგობრობით შემუშავეს ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფს ჯერ ერთი, არსებული ნარგავების შენარჩუნებასა და პროდუქტიულობის მატებას, ამასთან ნედლეულის კარგ ხარისხს, მეორე, ჩაის ახალი პერსპექტიული ჯიშების ფართო დანერგვის პროგრამას მათი მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიის გათვალისწინებით.

ორატორმა დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა გადამუშავებელი მრეწველობის მოდერნიზაცია. ამისათვის არის ღონე მრავალ ქალაქსა და რაიონში სერიოზული ხარვეზების, საქმისადმი ბიუროკრატიული მიდგომის გამო დამახასიათებელი ფუნქციები დაკარგეს საზოგადოებრივმა იურიდიულმა კონსულტაციებმა, ნებაყოფლობითი სახლო რაზმეულების, ოპერატიული კომკავშირული რაზმების მტაბმა, ამხანაგური სასამართლოების, მუშათა (სტუდენტთა) ღირსების სასამართლოებისადმი სამართლებრივი დახმარების საბჭოებმა, მართლწესრიგის დაცვის საყრდენმა პუნქტებმა.

კომკავშირული ორგანიზაციები, ახალგაზრდობის თვითმმართველობის ორგანოები ჯერ კიდევ საკმარისად არ იყენებენ საბჭოთა კანონმდებლობითა და საკავშირო ალაკ წესდებით მინიჭებულ ფართო უფლებებს წარმოების მართვის, ახალგაზრდობის შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების საჭირო პირობების შექმნის საქმეში. დაბალი სამართლებრივი კულტურის, ბევრ შემთხვევაში კი მინიჭებული უფლებების განხორციელებისადმი ფორმალური დამოკიდებულების შედეგად იზრდება იმ ქალიშვილთა და ჭაბუკთა რიცხვი, რომელთა მიმართ ხორციელდება ზემოქმედების ორგანიზაციული ან სამართლებრივი ღონისძიებანი. შესუსტებულია მზარდთა და ახალგაზრდობის ხელახალ სამართლებრივ ორიენტაციაში კომკავშირული აქტივის, პედაგოგიური კოლექტივების, შეფებისა და საზოგადოებრივი აღმზრდელების როლი.

რესპუბლიკის პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ვერ მიაღწიეს გამაფრთხილებელ-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტურობას, გადამცდარი ახალგაზრდების აღზრდის საქმეში მინიჭებული უფლებების სრულ გამოყენებას. გამოსწორების გზაზე ლობა ჯიშობრივ და ნიადაგობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით.

ინსტიტუტის სელექციონერებმა გამოიყვანეს და შეარჩიეს 200-ზე მეტი ჩაის ფორმა და კლონი, რომელთაგან ზოგიერთი მოსავლიანობით აღემატება „კოლხეთის" ჯიშს 35-40 პროცენტით, გემოთი და სურნელით კი მსოფლიოს უნიკალური ჯიშების დონეზე ფასდება. წარსულის შეცდომები რომ არ გავიმეოროთ, როცა „კოლხეთის" ჯიშის დანერგვას 35 წელი დასჭირდა, სხვადასხვა ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში აპრობირებულია პერსპექტიული ფორმები, და უკვე 5 წლის შემდეგ ისინი მზად იქნება სამრეწველო გაშენებისათვის.

სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის მინისტრი ლ. ბ. ვასილიევი შეეხო მეჩაიეობის ტექნიკურ განახლებას.

მან თქვა, რომ შემუშავებულია ჩაის ფოთლის პირველადი დამუშავებისათვის საჭირო, მანქანების სისტემა. იგი შეიცავს 42 დასახელების ტექნოლოგიურ მოწყობილობას. ახლა სერიულად ათვისებულია 34 დასახელების ტექნოლოგიური მოწყობილობა. შექმნილია მსხვილი საწარმოო გაერთიანება „საქკვებმანქანა", რომელშიც შედის ხუთი ქარხანა, ორი მსხვილი საკონსტრუქტორო გაერთიანება, სამშენებლო ორგანიზაციები. ამან შესაძლებლობა მოგვცა უკვე 1987 წელს დაგვემზადებინა 5 დასახელების ახალი მოწყობილობა — დოლის ტიპის ჩაის საშრობი მანქანა, დაგრეხილი ჩაის ფოთლის სახარისხებელი მანქანა, ჩაის სახარისხებელი ხაზი და სხვები, რომლებიც თავიანთი ტექნიკური პარამეტრებით შეესაბამება მსოფლიო დონის მოთხოვნებს.

ვიწრო ადგილად რჩება დასაფასოებელი მოწყობილობანი ვამოშვება. მის დამზადებაში უნდა ჩავაბათ მანქანათსაშენებელი კომბლეკსის სხვა სამინისტროები.

აზერბაიჯანის ლენინორანის ზონა უნიკალურია მეჩაიეობის განვითარებისათვის, თქვა აზერბაიჯანის სსრ ლენინორანის რაიონის XXIV პარტყრილობის საბელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა შ. ა. დოვლათოვმა. ამ შექმნილი საბჭოთა მეურნეობა ყოველწლიურად აწარმოებს 2000 ტონა მწვანე ჩაის ფოთოლს. მაგრამ ეს არ გვაკმაყოფილებს. ჩვენ რომ ნამდვილად მოგვეკიდა ხელი დარგის ინტენსიფიკაციისათვის და ნანარმლივი დროის განმავლობაში მთელი ყურადღება ექსტენსიური ფაქტორებისათვის არ მოგვეპყრო, უფრო დიდ შედეგებს მივაღწევდით, როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მხრივ.

ბოლო ხანს ჩვენ ვცდილობთ უფრო სწორად მოვუფაროთ პლანტაციებს და ვკრიფოთ ჩაის ფოთოლი. მაგრამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დაშვებულმა შეცდომებმა ღრმა კვალი დაატყო დარგს და ახლა დიდი მეცადინეობა იქნება საჭირო მათ აღმოსაფხვრელად. ჯერ ერთი, საჭიროა მოვრწყათ ნარგავები დასაწვიმი დანადგარებით, რომლებიც ოტბამალურ მიკროკლიმატს ქმნიან. სწორედ იგი წარმოადგენს საგეგეტაციო პროცესის ტემპერატურის დიდმნიშვნელოვან ფაქტორს. საჭიროა აგრეთვე ძველი, ძლიერ გამეჩხერებული პლანტაციების რეკონსტრუქცია, რომელშიც აგრეთვე უნდა გაუმჯობესდეს წყლის მიწოდება. დიდმნიშვნელოვანი საკითხია პლანტაციების მოვლისათვის განკუთვნილი სპეციალური ტექნიკა. ჩვენ ცოტას ვიღებთ თვითმავალ შასის, კულტივატორს, მცენარეთა მასაზრდოებელს, ჩაის ფოთლების გასასხლავ აპარატს, რაც ფართობების დანაგვიანების, წყლის რეჟიმის დარღვევის, მცენარეთა ცუდი მდგომარეობის, პროდუქციის დიდი თვითღირებულების ერთ-ერთი მიზეზია.

ახლა უხვმოსავლიანი ჯიშის „კოლხეთის" გამოყენებაზე გადავდივართ. ამ მიზნით რესპუბლიკის სახაგრომრეწვამ უნდა შექმნას ნერგების გამოსაყვანი მძლავრი საამქრო არა მარტო დიდ ფართობებზე რეკონსტრუქციის მოცულობის, არამედ ახალი პლანტაციების გაშენების პერსპექტივის გათვალისწინებითაც. დროა აგრეთვე როგორც ჩაის მწარმოებლების, ისე მისი გადამმუშავებლების შრომის ანაზღაურება მთლიანად დამოკიდებული გავხადოთ საბოლოო პროდუქტის — მზა ჩაის ხარისხზე. მხოლოდ ადამიანებისათვის ქმედითი სტიმულირების შექმნით შევძლებთ მივაღწიოთ ამ პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებას.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს ინგილოის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის ბრიგადირი ვ. გ. მეუნარგია. (მისი გამოსვლა გამოქვეყნებულია ჩვენს გაზეთში 12 სექტემბერს).

ნედლეულის მიმწოდებლებისა და მისი გადამმუშავებლების ურთიერთობა იყო მოსკოვის ჩაის საწონი ფაბრიკის დირექტორის ლ. პ. შუბინას გამოსვლის ყურადღების ცენტრში.

ჩვენი ფაბრიკა, — თქვა მან, — რუსეთის ფედერაციის უდიდესი საწარმოა და 20 ათას ტონაზე მეტ ჩაის აწარმოებს. კოლექტივი წარმატებით ასრულებს დადგენილ სახელმწიფო გეგმებს, თავის საქმიანობას ამბარს როგორც ჩაის წარმოების მოცულობის ყოველწლიური გადიდების, ისე მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების ამოცანების გადაწყვეტას. მიღწეული შედეგები კიდევ უფრო თამბიუდავი იქნებოდა, მთელი რიგი ნეგატიური მოვლენები რომ არა, რომლებსაც ბოლო წლებში ქრონიკული ხასიათი აქვს.

უწინარეს ყოვლისა, ეს ნედლეულის ხარისხის გაუარესებაა. ჩვენ, ჩაის საწონი ფაბრიკების მუშაკები, განსაკუთრებით მწვავედ ვგრძნობთ ამას. წლითიწლობით იზრდება მომხმარებელთა იმ წერილების რიცხვი, რომლებშიც ისინი პროდუქციის გაუარესებას უჩივიან. თუ 1984 წელს უმაღლესი ხარისხის ჩაი საერთო მოცულობის 23 პროცენტს შეადგენდა, 1987 წელს ეს ციფრი 19 პროცენტამდე შემცირდა. ძირითადი მაჩვენებლები, რომელთა მიხედვით იწუნებენ ნედლეულს, ის არის, რომ დიდძალ გაუხეშებულ ღეროსა და ბოჭკოს შეიცავს.

ძალიან ცუდი ხარისხის ნედლეულს გვაწვდიან, მაგალითად, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ისეთი საწარმოები, როგორიც არის ქობულეთის მე-2 და უმაფათის ფაბრიკები. წლეულს იძულებული ვიყავით დაგვეწუნებინა ნედლეულის 100 პროცენტი. ამავე დროს არის ნედლეულის დამუშავებისთვის შრომის კარგი, კეთილსინდისიერი ორგანიზაციის მაგალითები ისეთ ფაბრიკებში, როგორიც არის გეგეჭკორის პირველი, წალენჯიხის მე-2 და გონიოს ფაბრიკები. ნედლეულის ცუდი ხარისხისა და დაკლებისათვის ფაბრიკა მომწოდებლებს ყოველწლიურად 800 ათას მანეთამდე საჯარიმო სანქციებს უგზავნის. მაგრამ საქმე ის კი არ არის, გაგზავნილია თუ არა საჯარიმო სანქციები, არამედ ის, რომ დაიკარგა ქართული ჩაის ოდინდელი დიდება. საწარმოს კოლექტივის მეხსიერებაში თანდათან წაიშალა ის დრო, როცა ფაბრიკა სიამაყით წარადგენდა საერთაშორისო გამოფენებზე „ქართულ", „ეკსტრა", უმაღლესი ხარისხის ჩაის, სადაც იგი აღინიშნებოდა სპეციალური მედლებით და პრიზებით.

შემდეგ ლ. პ. შუბინა შეეხო საწარმოთა ტექნიკური განახლების პრობლემებს.

მოწყობილობის ძირითადი ნაწილი ფაბრიკებში ფიზიკურად და მორალურად მოძველდა და რაც შეიძლება მალე შესაცვლელია. საწარმოებში სამუშაოთა 50 პროცენტი ხელით სრულდება: აქ მომუშავე ქალმა ცვლაში 30 ათასი კოლოფი უნდა ჩააწყოს ტარაში. ნაკლებად პრესტიჟული შრომა კადრების ნაკლებობას წარმოშობს.

კვლავ უკიდურესად დაბალია დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის დონე.

წარმოების გადიდებული მოცულობის პირობებში იგრძნობა სასაწყობო სათავსების ნაკლებობა.

„კრასნოდარსკი ჩაის" საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ა. ა. მასლენიკოვმა თქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების მიხედვით აგროსამრეწველო კომბინატის „უუბანის" შექმნისა და „კრასნოდარსკი ჩაის" გაერთიანების შემადგენლობაში მისი შეყვანის შემდეგ ჩვენ ენერგია შეგვემატა. შევიქენთ ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა პრობლემა ჯერ არ გადაგვიჭრია. განსაკუთრებით გვაშფოთებდა ჩაის ფაბრიკების მდგომარეობა, სადაც იყენებდნენ ფიზიკურად და მორალურად მოძველებულ მოწყობილობას, რომელიც საშუალებას არ გვაძლევდა დროულად გადაგვემუშავებინა მოყვანილი ნედლეული, მზა ჩაის მხოლოდ მესამედი ნაწილი ფასოვდებოდა ადგილზე, და ისიც სანახევროდ ხელით. გადაცემის წელს ფაბრიკებს ნახევარი მილიონი ზარალი ჰქონდათ.

კომბინატმა „უუბანმა" ფაბრიკების რეკონსტრუქციისთვის 1985-1986 წლებში გამოყო 2 მილიონნახევრეთის კაპიტალდაბანდებები, აუცილებელი მოწყობილობა. რეკონსტრუქციის სამუშაოთა შესასრულებლად სეზონთაშორის პერიოდში საქმეში ჩავაბით დაგმინისის მეთაური ჩაის საბჭოთა მეურნეობის ყველაზე კვალიფიციური მუშაკები. ყოველივე ამან, მაგალითად, საშუალება მოგვცა 2 წელიწადში დაგმინისის ფაბრიკის სადღეღამისო სიმძლავრე გაგვეზარდა 65 ტონიდან 110 ტონამდე, უზრუნველგვეყო მიღებული ნედლეულის სრული მოცულობით გადამუშავება, რაც ადრე, სამწუხაროდ, არ ხდებოდა.

გამოიყენეს რა აგროსამრეწველო კომბინატის „უუბანის" შესაბამი ნედლეულის ჩვენთვის მონიჭებული უფლებები, გაერთიანების მეურნეობებმა სრულყვეს სამეურნეო მექანიზმი, დანერგეს შიდასამეურნეო ანგარიშსწორება, კოლექტიური და ოჯახური იჯარა და არსებითად განამტკიცეს ამ დროის განმავლობაში თავიანთი ეკონომიკა. მაგალითად, შარშან, ჩაის მოყვანისათვის კლიმატური პირობებით ყველაზე რთულ წელს, მათ 12,2 მილიონი მანეთი მოგება მიიღეს, რაც 33 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. ამან შესაძლებლობა მოგვცა უარი გვეთქვა ყოველწლიურ სახელმწიფო დოტაციებზე, ხოლო მომდინარე წელს გვემუშავა სახბანკის სესხის გარეშეც. ჩვენ განვაგრძობთ საბჭოთა მეურნეობებისა და ფაბრიკების საუკეთესო თანამშრომლების გზების ძიებას. შრომითი კოლექტივების მთელი საქმიანობის შეფასება განსაზღვრება საბოლოო შედეგით: ჩაის წარმოებით, მისი ხარისხით, მიღებული მოგების ოდენობით. საწარმოო საკითხების გადაწყვეტასთან ერთად გაერთიანება ბევრ რამეს აკეთებს მეჩაიეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ჩვენი ყველაზე მწვავე პრობლემა ბინის პრობლემაა. გარდაქმნა ამ საკითხსაც შეეხო. მის გადასაწყვეტად დავიწყეთ მოსახლეობის სასრების გამოყენება. მარტო დაგმისის საბჭოთა მეურნეობაში მეჩაიეებს წლეულს 150 ნაკვეთი გამოეყოთ მშენებლობისათვის.

შეიქმნა ახალგაზრდული საბინაო კოოპერატივი, რომელიც მომდინარე წელს დაიწყებს 75-ბინიანი, მერე კი 200-ბინიანი სახლის მშენებლობას. ამ და სხვა ღონისძიებებმა საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად შეგვემცირებინა კადრების დენადობა, ჩაგვება მეჩაიეობაში ახალგაზრდობა.

მაგრამ, ისევე როგორც მთელ მხარეში, ჩვენი მშენებლებიც განიცდიან საშენი მასალების დიდ ნაკლებობას და მეტ დახმარებას საჭიროებენ.

ა. ა. მასლენიკოვმა ილაპარაკა მაღალხარისხოვანი ჩაის წარმოების შეძენილ გამოცდილებაზე. კომბინატ „უუბანის" სპეციალისტებმა შეიმუშავეს სწორედ ისეთი მაღალხარისხოვანი ნედლეულის დამზადების გადიდების მასტიმულირებელი ფასდებები, რომელსაც იძლევა ბუჩქების ოვლისისა და აგვისტოს ვეგეტაცია. ამის მეოხებით შესაძლებელი გახდა ბოლო ორი წლის განმავლობაში 70 პროცენტით გაზრდილიყო უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის გამომუშავება.

მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების შემდგომი გაზრდა, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, შეუძლებელია სარწყავი ფართობების გაფიდიდებლად. ეს მუშაობა წარმოებს. მართალია, მცირე მოცულობით და ისე არა, როგორც სასურველია: დღეს მხოლოდ ყოველი მესამე ჰექტარი ირწყვება.

რწყვასთან ერთად ვახერხებთ უფრო ეფექტიანად გადავტრათ ვეგეტაციის პერიოდში სარწყავ წყალთან ერთად მინერალური სასუქების შეტანის პრობლემა, რამაც საშუალება მოგვცა თავიდან აგვეცილებინა მძიმე ფიზიკური შრომა ამ სამუშაოების შესრულების დროს. ეს ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ სარწყავი მეჩაიეობის შემდგომი განვითარება პერსპექტიულია.

ჩაის ფოთლის ზრდასა და ხარისხის გაუჯობესებას ეუკავშირები არსებული ჩაის ნარგავების რეკონსტრუქციას, ახალი პლანტაციების ჩაყრას, მცირეპროდუქტიული ნაკვეთების ისეთი უხვმოსავლიანი ჯიშებით ხელახლა გაშენებას, როგორიც არის, მაგალითად, „კოლხეთი", ზამთარმედეგი ჯიშები „ყუბანური", „მაცესტური". ვცდით ბევრ სხვა ჯიშს, რომელბიც ქართველმა სელექციონერებმა გამოიყვანეს.

ბოლო წლებში მოწეული ჩაის ფოთლის ხარისხი არ შეესაბამება სახსტანდარტის მოთხოვნებს, ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის სახსტანდარტის თავმჯდომარემ გ. დ. კოლმოგოროვმა. საქართველოს სსრ მეურნეობების მიერ გამოშვებული ჩაის ფოთოლი, მაგალითად, 70-80 პროცენტამდე უხეშ ფრაქციას შეიცავს.

ჩაის ფოთლისა და მზა ჩაის ხარისხის მკვეთრი გაუარესების მთავარი მიზეზი ის არის, რომ დადგინდა მათი წარმოების უსაფუძვლოდ მაღალი საგეგმო მაჩვენებლები, რომლებიც სრულიად არ ითვალისწინებდა ჩაის პლანტაციების ფართობის გადიდების საჭირო ღონისძიებანი. წლითიწლობით იზრდებოდა ნებეულობის გზით ჩაის ფოთლის დამზადების გეგმები. ამის გამო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იძულებული იყვნენ ჩაის ფოთლის წარმოების ტექნოლოგია დაექვემდებარებინათ რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის, რაც ზიანს აყენებდა ხარისხს.

ჩაის ფოთლისა და ჩაის ხარისხის გასაუმჯობესებლად სრულიად არ მუშაობს ეკონომიკური მექანიზმი, უამისოდ კი მარტოოდენ ადმინისტრაციული ღონისძიებებით ვერ გადავჭრით ჩაის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემას. ... დაპირ გასაკვირია, როგორ შეიძლება მაშინ, როცა უხეშად ირღვევა ჩაის ფოთლის სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნები, ასეთი პროდუქციისათვის გადაიხადო პირველი ხარისხის ჩაის ღირებულება.

სწორად ვერ მივიჩნევთ იმას, რომ ქართული, აზერბაიჯანული, კრასნოდარული და იმპორტული ჩაის ფასი ერთნაირია.

სსრ კავშირის სახსტანდარტი განიხილავს წინადადებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფო მიღებამ კომპლექსურად მოიცვას ჩაის პროდუქციის წარმოებისა და ამ დარგისათვის განკუთვნილი მანქანების გამოშვების მთელი ციკლი.

საბოლოო სიტყვაში ი. კ. ლიგაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსახილველი პრობლემების გადასაჭრელად სერიოზული ღონისძიებები უნდა განახორციელონ ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა. უნდა შეიქმნას სრულიად ახალი ორგანიზაციული, ეკონომიკური, სამეურნეო მექანიზმი, რომელიც საბოლოო ანგარიშით იმუშავებს ჩაის, თანაც ყველაზე მაღალი ხარისხის ჩაის წარმოების ზრდისათვის. ეს კომპლექსური ამოცანაა. მის გადაწყვეტაში ჩაბმულია უამრავი ხალხი, სხვადასხვა კოლექტივი — მეჩაიეები, გადამმუშავებლები, მანქანათმშენებლები, სამეცნიერო დაწესებულებები, სხვა დარგების მუშაკები.

ჩაის ფოთლის შესაყიდვის გეგმის შემცირება და ხარისხისადმი უფრო მაღალი მოთხოვნების წაყენება მხოლოდ ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი მნიშვნელოვანი ბაჯაა. ასეთი მიდგომა სწორი არ იქნება. ჩვენ ბევრი სხვა ბაჯაც გვაქვს, რომლებმაც უახლოეს წლებში შეიძლება არსებითად გაუმჯობესოს ამ პროდუქციის ხარისხი, მათ შორის მოგვცეს ახალი ჯიშები. და რაც მთავარია, მათი სწრაფი დანერგვა, პლანტაციების ჩაყრა და მათი ხელახალი გაშენება უნდა წარმოებდეს უფრიანერეს ყოველსა ყველაზე უხვმოსავლიანი, ყველაზე დიდფექტიანი ჯიშების ხარჯზე.

მნიშვნელოვანი საკითხია ისიც, რომ ჩაის პლანტაციების გაფართოების მიზნით შეიცვალოს საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურები. ამავე დროს სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ იმ კულტურების მოსავლიანობის ზრდისათვის, რომელთა ფართობსაც შევამცირებთ და მიწებს გამოვიყენებთ ჩაის ფოთლის საწარმოებლად. უნდა ავამქმედოთ ინტენსიური ფაქტორი — გავზარდოთ მოსავლიანობა.

სერიოზულად უნდა ვიფიქროთ მეჩაიეობის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ფორმებზე, იმაზე, რომ, მაგალითად, საქართველოს სს რესპუბლიკაში შეიქმნას გაერთიანება, რომელშიც შევა ჩაის ფოთლის წარმოება, მისი გადამუშავება, მანქანათმშენებლობა, მეცნიერება.

რესპუბლიკების პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს, სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, მანქანათსაშენებელ და ჩაის წარმოებასთან დაკავშირებულ სხვა სამინისტროებს წინადადება მიეცათ განიხილონ ეს საკითხები და დასახონ ხანმოკლე და პერსპექტიულ ღონისძიებათა გეგმები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებს დაევალათ დაწესონ ქმედითი კონტროლი.

პრესამ, ტელევიზიამ, რადიომაუწყებლობამ ფართოდ გააშუქონ ჩაის დარგის პრობლემები, წარმოაჩინონ დადებითი გამოცდილება და პოზიტიური ცვლილებები და მკაცრად გააკრიტიკონ ყოველივე უარყოფითი, ნეგატიური, რაც ამ საქმეშია.

საქართველო

ედგარ მიტჩელი: „თუ ჩვენ გონიერი არსებანი ვართ...“

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, 11 სექტემბერს კოსმოსური ფრენის მონაწილეთა ასოციაციის მიერ მიღებული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში თბილისს ეწვია ამერიკელი ასტრონავტი ედგარ მიტჩელი, რომელსაც მოგზაურობაში ახლდა სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ აქსიონოვი. 13 სექტემბერს კი, გამგზავრების წინ, გამართეს პრესკონფერენცია საქართველოს რადიოს, ტელევიზიისა და პრესის წარმომადგენლებისათვის. პრესკონფერენციაზე ე. მიტჩელმა და ვ. აქსიონოვმა უპასუხეს ჟურნალისტთა, მათ შორის „კომუნისტის“ კორესპონდენტის, მრავალრიცხოვან შეკითხვებზე. აი ზოგიერთი მათგანი:

— რა მიზნებს ისახავს კოსმოსური ფრენის მონაწილეთა ასოციაცია?

ვ. აქსიონოვი: — ასოციაციის წევრია 18 ქვეყანა, რომელთა წარმომადგენლები იყვნენ კოსმოსში. ამჟამად იგი ჩამოყალიბების პროცესშია, ესე იგი ჯერ მთლიანად არ არის გაფორმებული როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია. გადასაჭრელია მნიშვნელოვანი ორგანიზაციული საკითხები, მათ შორის ფინანსური პრობლემა. რადგან ჩვენ საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვართ, და არა სამთავრობო, არა პოლიტიკური, ამიტომაც ჩვენს მიზნებს საფუძვლად უდევს ჩვენი წარმოდგენა იმაზე, თუ რა უნდა იღონონ კოსმოსში ნამყოფმა ადამიანებმა, რომლებსაც შესაძლოა სხვებზე უფრო მეტად აქვთ გათვითცნობიერებული კაცობრიობის საჭიროროტო პრობლემები და ის გზები, რომლებითაც, მათი გაგებით, უნდა განვითარდეს ჩვენი საზოგადოება, საზოგადოება დედამიწელებისა, რათა, ჯერ ერთი, შეენარჩუნოთ სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე და არ დავუშვათ მისი მოსპობა სამხედრო კონფლიქტებისა თუ ბირთვული ომის შედეგად, და, მეორე, მეცნიერთა, მკვლევართა ძალისხმევა წარვმართოთ იმისათვის, რომ გონივრულად გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი — სულიერი, სამრეწველო, ეკონომიკური და ა. შ.

ჩვენი თვალსაზრისით, ყოველი ეს ხელს შეუწყობს ადამიანთა კეთილდღეობას, ჩვენი ცივილიზაციის, პროგრესის განვითარებას, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობის პირობებში, მხოლოდ მაშინ, თუ გონივრულად ავწონ-დავწონით, რა მიმართულებებით წარმართოთ ჩვენი პლანეტის, ჩვენი მზის სისტემის შესწავლა, ფუნდამენტური მეცნიერებების ძიებანი.

ე. მიტჩელი: — იმის გამო, რომ ჩვენ ბედმა გვარგუნა კოსმოსში ყოფნა, ბევრ რამეზე განსაკუთრებული აზრი, განსაკუთრებული შეხედულება გვაქვს. ჩვენ, კოსმოსში ნამყოფთ, ძლიერ გვაწუხებს დედამიწაზე სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხე. ეს არ არის მხოლოდ სამხედრო კონფლიქტები, რომლებიც მსოფლიოში ხდება, ეს არის გარემოს დაცვის, დემოგრაფიული საკითხები, რომლებიც დიდ საშიშროებას შეიცავს, ეს არის კოსმოსის კვლევასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც კაცობრიობის საკეთილდღეოდ უნდა გადაიჭრას. რა თქმა უნდა, მარტო ჩვენ აქ ვერაფერს გავხდებით. ოღონდ ეს კია, ყველა ქვეყნის კოსმონავტები და ასტრონავტები ერთნაირი აზრისანი არიან იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს პრობლემები მომავალში. აი, რამ გაგვიერთიანა ჩვენ. განსაკუთრებულად გვესახება ჩვენი როლი ამ საქმეში და მიგვაჩნია, რომ ადამიანებს უნდა ჩავუნერგოთ, უნდა ვასწავლოთ, როგორ გადაეარჩინოთ ჩვენი პლანეტა, რათა აქ განაგრძონ ცხოვრება ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა.

იმ ფაქტმა, რომ ვმონაწილეობდი მთვარეზე გაფრენაში, რომ ფეხი დავდგი სხვა პლანეტაზე, გადატრიალება მოახდინა ჩემს შეგნებაში. დედამიწაზე დაბრუნებისას უფრო ძლიერად შევიგრძენი ჩვენი აზროვნების შემდგომი ჰუმანიზაციის აუცილებლობა, მივხვდი, რომ ჩვენი პლანეტა უგუნურებით არ უნდა დაიღუპოს, ადამიანებმა თანხმობით, მშვიდობიანად უნდა იცხოვრონ, შექმნან ჰარმონიული ცხოვრება დედამიწაზე. იქ, მთვარეზე, უნებლიეთ გრძნობ, რომ განუყოფლად ერთიანი ვართ სამყაროში, გრძნობ, როდენ ფაქიზი და უმწეოა ჩვენი საერთო სახლი — დედამიწა. მე კიდევ უფრო შემიყვარდა სიცოცხლე, შეტი პატივისცემა, მეტი პასუხისმგებლობა ვიგრძენი ყოველივე ამქვეყნიურისათვის. 16 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მთვარეზე ვიყავი, და აქამდე დღე-დაღამ ვფიქრობ, მივდიოარ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი პლანეტა-ს ბედი ჩვენს ხელთ არის. ჩვენ უნდა შევიგნოთ პირადი პასუხისმგებლობა არა მარტო საკუთარი სიცოცხლისათვის, არამედ, თუ გონიერი არსებანი ვართ, უნდა გვაწუხებდეს, უნდა გვადარდებდეს მთელი კაცობრიობის ბედი.

— რა აზრისა ბრძანდებით ამერიკელ და საბჭოთა ხალხებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებაზე, ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის განვითარებაზე?

ე. მიტჩელი: — ადამიანებმა იციან, როგორ ითანამშრომლონ. ამჟამად ჩვენი პრობლემები ზესახელმწიფოთა დონეზე დგას — ეს თანაარსებობის პრობლემებია. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდება ტექნიკა; ჰოდა, ისე უნდა მოვიქცეთ, რომ მან კაცობრიობას არგოს. ჩემი აზრით, ყველას გვაქვს შეგნებული, თუ როგორია მსოფლიოში დემოკრატიზაციის პრინციპები. როგორ ვიცხოვროთ — აი, რა არის მთავარი ჩვენს საუკუნეში. მსოფლიოს ხალხებს სულ უფრო მეტად აქვთ შეგნებული, რომ მათ უნდა უპატრონონ დედამიწას.

დიდად კმაყოფილი ვარ თქვენთან სტუმრობით. თუმცა პირველად არა ვარ საქართველოში, თქვენს დედაქალაქში. მე დავინახე, რა სიცოცხლისმოყვარული, რა გამბები, რა გონიერია ქართველი კაცი. ყველა ეს თვისება უნდა გამოიყენოთ იმისათვის, რომ უფრო ფართო ხიდები გადოთ ჩვენთან თანამშრომლობაში, მსოფლიოს სხვა ხალხებთან ურთიერთობაში. სულით და გულით ვუსურვებ საბჭოთა საქართველოს მშრომელებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს, მშვიდობას მთელ პლანეტაზე.

ზ. კრიმსკი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ

• • •

სურათზე: ედგარ მიტჩელი და ვლადიმერ აქსიონოვი.

ტელეფონის ხაზზე მოსკოვი

ქართული წიგნის ჰორიზონტები

მოსკოვში მუშაობა დაამთავრა წიგნის მეექვსე საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობამ. სწორედ ამაზე გვესაუბრება საქართველოს სსრ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა საავტორო უფლებების რესპუბლიკური საგანგებო საგენტოს უფროსი ვლ. ალფაინიძე:

— ეს იყო მსოფლიო მწერლობის, მეცნიერებისა და ხელოვნების საუკეთესო მიღწევათა საერთაშორისო დემონსტრაცია, რომელიც მიზნად ისახავდა ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობის სრულყოფას, მშვიდობისა და ჰუმანიზმის იდეების პოპულარიზაციასა და გავრცელებას მთელ მსოფლიოში, სხვადასხვა რწმენის, რასისა და ეროვნების ადამიანთა თანამშრომლობისათვის, სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესისათვის ხელის შეწყობას, მსოფლიოს ყველა კონტინენტის გამომცემელთა შორის კონტაქტების გაფართოებას, სულიერ ღირებულებათა ექსპორტისა და იმპორტის ზრდას 35 ქვეყანას შორის ჰელსინკის ცნობილი შეთანხმების საფუძველზე.

საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა დაათვალიერეს და, კერძოდ, საქართველოს სტენდს ეწვივნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჰ. ალიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. იაკოვლევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.

გამოფენა-ბაზრობის მუშაობაში მონაწილეობდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და იუნესკოს წარმომადგენელები.

საქართველოს გამოფენა დაათვალიერა მსოფლიოს 60 ქვეყნის უდიდესი გამომცემლობების, მწერლობის, მეცნიერებისა და ხელოვნების, საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა. საქართველოს სსრ განსახკომმა და რესპუბლიკის საავტორო უფლებათა საგენტომ 60-ზე მეტი კონტრაქტი გაფორმეს მსოფლიოს ოცდაათზე მეტ ქვეყანაში ქართული წიგნის გამოსაცემად. ოცამდე კონტრაქტი გაგზავნილია ნიუ-იორკში, პარიზში, მადრიდში, ტოკიოში, ბერლინში, პრაღაში და მსოფლიოს სხვა ქალაქებში ქართული წიგნების გამოცემებზე ხელმოსაწერად. დაიდო 70-მდე საოფციონო შეთანხმება ქართული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების უცხოეთში გამოსაცემად. შემუშავებულია მომავალი — 1989 წლის მოსკოვის გამოფენა-ბაზრობამდე გასაფორმებელი კონტრაქტებისა და ოფციონების გეგმა.

გაიზარდა საქართველოს საავტორო უფლებათა საგენტოს საზღვარგარეთელი პარტნიორების რიცხვი, რაც გამოწვეულია მთელ მსოფლიოში ქართული კულტურისადმი ინტერესის გაძლიერებით. დადებული კონტრაქტების თანახმად ბელგრადში გამოიცემა ქართული პოეზიის ანთოლოგია რუსთაველიდან გალაკტიონამდე, რომელსაც შეადგენს გამომცემლობა „მერანი“ დირექტორი, კრიტიკოსი გურამ გვერდწითელი. ანთოლოგიაში შევა 25 ქართველი პოეტის რჩეული ლექსები. ამავე დროს თბილისში გამომცემლობა „მერანი“ გამოსცემს სერბულ-ხორვატული პოეზიის ანთოლოგიას. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოვა ქართული პოეზიის ანთოლოგია.

საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარე რ. ღლონტი შეუთანხმდა იუგოსლავ და უნგრელ გამომცემლებს ფიროსმანის ნაწარმოებთა თანამედროვე დონეზე გამოცემის შესახებ. ალბანი უახლოეს ორ წელიწადში უნდა გამოვიდეს.

კუბელ გამომცემლებთან დაიდო ხელშეკრულება ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მთავარი რედაქტორის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ვ. კეშელავას წიგნის „ჰუმარიტი და ყალბი ჰუმანიზმის“ გამოსაცემად. წიგნი გამოვა ჰავანაში ესპანურ ენაზე. დადებულია ხელშეკრულებები ნოდარ დუმბაძის, ოთარ ჭილაძის, ალექსანდრე ჩხაიძის, ოტია იოსელიანის, შალვა ამონაშვილის, ნიკო ჭავჭავაძის და სხვა ქართველ მწერალთა და მეცნიერთა წიგნებზე. ლონდონის უდიდესი გამომცემლობა „თემზ ენდ ჰადსონი“ გამოსცემს ლ. ხუსკიანაძის წიგნს ქართული ტიხრული მინანქრის შესახებ. იაპონიის გამომცემლობა „ოროონცია“ დაინტერესდა გიორგი ციცაშვილის რომანებით. იუგოსლავიისა და ბულგარეთის გამომცემლობები — ხუტა ბერულავას პოეტური და პროზაული ნაწარმოებებით. ეს ქვეყნები გამოსცემენ აგრეთვე მორის ფოცხიშვილის სამაგვრო ლექსებს. ამის შესახებ არსებობდა წინასწარი შეთანხმებები.

ქართული წიგნის გამოფენის ექსპონატთა უდიდესი ნაწილი — 200-მდე წიგნი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში გაიგზავნა ბელგრადში, სადაც ოქტომბერში გაიმართება წიგნის მსოფლიო გამოფენა-ბაზრობა. იმედია, რომ აქ გაფორმდება ახალი კონტრაქტები ქართული წიგნის არა მარტო იუგოსლავიაში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოსაცემად.

უკსოფოზში

ტელეტაიპი გადმოგვცემს

14 სექტემბერი ● საქმენიერია

დიალოგი გრძელდება

ე. ა. შევარდნაძე ამერიკის შეერთებულ შტატებში

▼▼

ვაშინგტონი. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე ვიზიტად ეწვია ვაშინგტონს. იგი შეხვდება და მოლაპარაკებას გამართავს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეთან ჯ. შულცთან. მოიწყობა აგრეთვე პრეზიდენტ რ. რეიგანთან შეხვედრა.

ვაშინგტონში ჩამოსულისას ე. ა. შევარდნაძემ გააკეთა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ახლანდელი ვიზიტი საბჭოთა კავშირ-ამერიკის იმ დიალოგის გაგრძლებაა, რომლის კურსი დასახა ჟენევასა და რეიკიავიკში მ. ს. გორბაჩოვისა და პრეზიდენტ რ. რეიგანის მორიგებამ.

ჩვენ მჭიდროდ მივუახლოვდით საშუალო სიმორისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების შესახებ ხელშეკრულების მომზადების დამთავრებას. შორს აღარ არის შეთანხმება, რომლის შედეგად ისტორიაში პირველად საშუალამოდ მოისპობა მომაკვდინებელი იარაღის — რაკეტულ-ბირთვული იარაღის ორი კლასი. იგი შექმნის მოძრაობის მძლავრ მომენტს, როგორც მ. ს. გორბაჩოვმა განსაზღვრა, კარდინალური საკითხის — რაკეტსაწინააღმდეგო თაღადაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულების მკაცრი დაცვისა და განმტკიცების პირობებში სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების საკითხის გადაწყვეტაში.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. შულცმა კვირას ინტერვიუ მისცა სი-ბი-ეს ტელეკომპანიას. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის აქ ჩამოსულასთან დაკავშირებით სახელმწიფო მდივანმა იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაშინგტონის მოლაპარაკებას პოპულება პროგრესი ყველა განსახილველი საკითხის გამო. მაგრამ ამასთანავე მან თქვა, რომ არ იცის, შეძლებენ თუ არა მიაღწიონ სრულ ურთიერთგაგებას საშუალო სიმორის ბირთვული საშუალებების საკითხებზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მკაფიოდ გამოხატული შეთანხმების მიმართ.

სი-ბი-ესისათვის მიცემული ინტერვიუს დროს შულცი კვლავ მოითხოვდა, რომ ამერიკამ განაგრძოს კონტრრევოლუციონერებისადმი დახმარება, რაც, როგორც მიაჩნიათ ცენტრალურ ამერიკასა და თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრთხეს უქმნის ამ რეგიონში მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესს. სახელმწიფო მდივანმა მხარი დაუჭირა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის მოლაპარაკებას.

განმტკიცდება მეგობრობა

საარბრიუკენი. ხელი შევუწყოთ იმას, რომ ახალ თვისებრივ დონეს მიაღწიოს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თანამშრომლობამ და შეიქმნას პირობები ევროპაში დაძაბულობის შენელების ახალი ფაზისათვის. ასეთ მიზანს ისახავენ საარბრიუკენში მიღებულ ერთობლივ განცხადებაში პარტნიორული ურთიერთობის დამყარების შესახებ დასავლეთ გერმანიის საარის მხარე და საბჭოთა საქართველო. დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ოთარ ჩერქეზიამ და საარის მხარის პრემიერ-მინისტრმა ოსკარ ლაფონტენმა. დოკუმენტის ხელმოწერის საზეიმო ცერემონია გაიმართა საქართველოს მაგალითით საბჭოთა კავშირის კვირეულის ფარგლებში, რომელიც ამ დღეებში საარის მხარეში მიმდინარეობს.

ორივე მხარე, ხაზგასმულია განცხადებაში, ხელმძღვანელობს სურვილით განამტკიცოს და განავითაროს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა და ურთიერთნდობა. მათ აერთიანებთ საერთო მისწრაფება — ითანამშრომლონ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დაცვის საქმეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და მიზნების საფუძველზე. მოსკოვის 1970 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულებამ და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტმა ამისათვის მნიშვნელოვანი წანამძღვრები შექმნეს, აღნიშნულია განცხადებაში.

მიესალმა რა საქართველოს სს რესპუბლიკის წარმომადგენლებს, ოსკარ ლაფონტენმა თავის გამოსვლაში განცხადების ხელმოწერის საზეიმო ცერემონიაზე განაცხადა, რომ საბჭოთა რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის მხარის პარტნიორული კავშირურთიერთობის დამყარების მნიშვნელოვანი წანამძღვარი იყო მრავალმრივი, ნაყოფიერი კონტაქტები თბილისსა და საარბრიუკენს შორის. მან გამოთქვა რწმენა, რომ პარტნიორობის მასშტაბის გაფართოება, რომლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო ორივე მხარემ ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავის წელს, მნიშვნელოვან იმპულსს მიანიჭებს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხალხთა ურთიერთგაგების გაღრმავებასა და ხელს შეუწყობს მათ შორის ნდობისა და კეთილმეზობლობის ურთიერთობის ატმოსფეროს შექმნას.

საარბრიუკენში მიღებულ დოკუმენტში გამოცხადებულია, რომ საქართველო და საარის მხარე მზად არიან მხარი დაუჭირონ და ხელი შეუწყონ თანამშრომლობას კულტურის, ეკონომიკისა და გარემოს დაცვის დარგში. მათ შორის პარტნიორული კავშირურთიერთობის დამყარების შესახებ მორიგება ითვალისწინებს ტურიზმის, ახალგაზრდული გაცვლის გაფართოებას, შემომქმედებითი კოლექტივების გამოსვლებსა და სხვადასხვა გამოფენის მოწყობას. საქართველოს სს რესპუბლიკისა და საარის მხარის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლამ მრეწველობის, მეცხიერებისა და ტექნიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებით, ხელი შეუწყოს ეკონომიკური კოოპერაციის ახალ ფორმებს, მათ შორის ერთობლივი საწარმოების შექმნას.

ერთობლივი განცხადების ხელმოწერის ცერემონიაში მონაწილეობდნენ საარის წამყვანი პოლიტიკური პარტიების, მხარის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საქართველოდან ჩამოსული სტუმრები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ი. ა. კვიცინსკი.



ამერიკის შეერთებული შტატების ნეოგლოგალიზმი: ნაბიჯ-ნაბიჯ

ვაშინგტონის შტატის პიუჯენტ-საუნდის სამხედრო-საზღვაო ბაზის სარდლობამ გამოაცხადა, რომ აქ ნავსადგურში დროებით ჩამოდგა დამკვრელი ატომური ავიამზიდი „ნიმიცი“ (სურათზე), რომელსაც თან ახლავს საბრძოლო მხარდამჭერის ხომალდების ფლოტილია. პენტაგონს განზრახული აქვს უახლოეს წლებში შეერთებული შტატების ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე თავი მოუყაროს სამხედრო-საზღვაო ძალების მძლავრ დაჯგუფებას, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ამერიკული პრესის მონაცემებით, 1990 წლისათვის დაჯგუფებაში 18 დამკვრელი ხომალდი იქნება, რომელთა ეკიპაჟის საერთო რიცხვი 7,5 ათასს შეადგენს. იქვე, მეზობლად, ბანგორის ბაზაში განლაგდნენ „ტრაიდენტის“ ტიპის დამკვრელი ატომური წყალქვეშა ნავები, რომლებიც უკვე პატრულობენ წყნარი ოკეანის აუზის ჩრდილოეთში. გარდა ამისა, ქვეყნის დასავლეთის სანაპიროზე მოდერნიზებულია სან-დიეგოს სამხედრო-საზღვაო ძალების დიდი ბაზა და შექმნილია სან-ფრანცისკოს ახალი ბაზა. იზრდება სამხედრო-საზღვაო ძალები ალასკაზე, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უდიდესი სამხედრო-საზღვაო ძალების წვრთნა მოეწყო.

ანსა-საკდესის ფოტო.

◆ გდრ

ადნის სააგენტოს ცნობა

ბერლინი. ადნის სააგენტოს ცნობით, შეტყობინებას დაქვემდებარებული სამხედრო საქმიანობის გარკვეულ სახეობათა დაცვისა და კონტროლის სტოკჰოლმის დოკუმენტის დებულებათა თანახმად, ოთხმა ბრიტანელმა ოფიცერმა 1987 წლის 10-12 სექტემბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოაწყო საბჭოთა შეიარაღებული ჯარებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის სამხედრო ნაწილების ინსპექცია. როგორც ვიუწყებოდით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1987 წლის 9 სექტემბერს დააკმაყოფილა დიდი ბრიტანეთის მთავრობის თხოვნა ასეთი ინსპექციის მოწყობის შესახებ. როგორც გადაწყვეტილების მიღების დროს, ისე ინსპექციის პრაქტიკული მოწყობისას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მკაცრად იცავდა სტოკჰოლმის დოკუმენტის დებულებებს.

დიდი ბრიტანეთი, როგორც მაინსპექტირებელი სახელმწიფო ახლა ვალდებულია შეადგინოს შესაბამისი ანგარიში და შეუფერხებლად გადასცეს იგი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფოს, ნათქვამია სააგენტოს ცნობაში.

◆ ინგლისი

ლეიბორისტული პარტიის კონფერენცია

ლონდონი. (პარტიული ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის მწვავე წინააღმდეგობის ვითარებაში დღეს ჰარროგეტში გაიხსნა დიდი ბრიტანეთის ლიბერალური პარტიის ყოველწლიური კონფერენცია. მისი დელეგატების ყურადღების ცენტრშია სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან გაერთიანების გეგმები, რომელთანაც წინათ ლიბერალები თანამშრომლობდნენ საარჩევნო ალიანსის ფარგლებში.

ლიბერალთა ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ორი პარტიის შერწყმა შესაძლებლობას მისცემს მათ კონსერვატორებთან ერთად ლეიბორისტებთან ერთად პრეტენზია განაცხადონ „მესამე პოლიტიკური ძალის“ როლზე ინგლისის პოლიტიკაში. მაგრამ ლიბერალური პარტიის რიგით წევრებს სათუოდ მიაჩნიათ გაერთიანების მიზანშეწონილობა, აღნიშნავენ ალიანსში პარტნიორთა პოზიციებში არსებულ სხვაობას, მათ შორის სხვაობას თავდაცვის დარგში პოლიტიკის საკითხებზე. ლიბერალთა მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ, არ იწონებს იმას, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ემხრობა ბირთვულ იარაღს და მხარს უჭერს ბრიტანეთის ბირთვული ძალების შეკავების შენარჩუნების საჭიროებას.

◆ იტალია

ტერორისტული აქტი ალტო-ადიჯეში

რომი. სავარძელში მოკალათებული ემა სერგერი სალამოს სატელევიზიო გადაცემას უყურებდა. მოულოდნელად იგი აფეთქების ხმამ გააყრუა: ოთახი ფანჯრის მინის, აგურისა და კრამიტის ნამტვრევებით გაივსო. აფეთქების ტალღამ ჩარჩოდან ამოაგდო მასიური კარი. მხოლოდ ბედნიერი შემთხვევითობაა, რომ სახლში მყოფთაგან არავინ დაზარალებულა.

ეს ამბავი ამ დღეებში მოხდა ქალაქ ბოლცანოს რაიონში, რომელიც ალპინის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით, ტრენტინო-ალტო-ადიჯეს ოლქში მდებარეობს. ბოლო დროს იტალიის ეს რაიონი, სადაც იტალიურად და გერმანულად მოლაპარაკე მოსახლეობა ცხოვრობს, გერმანელი მოსახლეობის ნაციონალისტურად განწყობილ წარმომადგენელთა ტერორისტული საქმიანობის აპარეზად გადაიქცა. ნაციონალისტებს უკადურესი მემარჯვენეები აგულანებენ, რომლებიც ამგვარად ცდილობენ შუღლი ჩამოაგდონ ოლქში მოსახლე ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის, შექმნან აქ დაძაბული ვითარება, მოშალონ დემოკრატიული ინსტიტუტები.

ამ ბოლო გამოხდომის ადგილზე პოლიციამ იპოვა პროკლამაცია, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფი „ტიროლი“. პროკლამაცია შეიცავს მუქარას იტალიურად მოლაპარაკე ადამიანების მიმართ. გარდა ამისა, პირდაპირ არის აღნიშნული, რომ შესაძლოა მოიწყოს ახალი ტერორისტული აქტები. „პრობლემები მარტო ლაპარაკით და შეთანხმებებით არ წყდება, ამას სისხლი და რკინა სჭირდება“, — ამცნობს მკითხველებს ეს პროკლამაცია. ანალოგიური „უსტარები“ აღმოჩნდა იმ ტერორისტული აქციების ადგილებზეც, რომლებიც ბოლცანოს რაიონში მოხდა მიმდინარე წლის მაისის დამლევს, როა ქვეყანაში საარჩევნო კამპანია იწყებოდა.

ნიშანდობლივია, რომ მიმდინარე წელს, როცა ტრენტინო-ალტო-ადიჯეში ათზე მეტი ტერორისტული აქცია მოეწყო, პოლიციამ მხოლოდ ორი ეჭვმიტანის დაკავება მოახერხა. იმათი მოუქნელობა, ვისაც მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფა მართებს, წყაღლ ასხამს ნაციონალისტების წისქვილზე, რომლებიც დღითი დღე ააქტიურებენ ძალადობრივ საქმიანობას.

ეპოქის შემქმნელი ნაწარმოები

კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომის გამოსვლის 120 წლისთავისათვის

120 წლის წინათ, 1867 წლის 14 სექტემბერს გამოიცა კ. მარქსის გენიალური ნაშრომის „კაპიტალის“ პირველი ტომი.

„კაპიტალი“ კ. მარქსის, და საერთოდ მარქსიზმის, როგორც მეცნიერული სისტემის, უანგარო ნაღვაწი და ფუნდამენტური თხზულებაა. არ დარჩენილა ეკონომიკის, ფილოსოფიის, ისტორიის, სამართლის და საერთოდ სოციოლოგიის თითქმის არც ერთი სფერო, რომლის შესახებაც რაიმე ფუძემდებლური დებულება ამ ნაშრომში არ იყოს მოცემული. მარქსმა „კაპიტალის“ შექმნით საზოგადოებათმცოდნეობა ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანა.

ვ. ი. ლენინის შეფასებით, „კაპიტალი“ ჩვენი საუკუნის უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიკური ნაწარმოებია. ფ. ენგელსის თქმით კი, კ. მარქსმა ამ ეპოქის შემქმნელი ნაწარმოებით „შეძლო ასულიყო ისეთ სიმაღლეზე, საიდანაც ნათლად იმლება თვალწინ მთელი სივრცე თანამედროვე სოციალური ურთიერთობისა. ასე დაჰყურებს ქვემო მთიან სივრცეებს ის, ვინც უმაღლეს მწვერვალზე დგას“.

კ. მარქსმა „კაპიტალის“ პირველი ტომის დაწერას 25 წელზე მეტი მოანდომა. 1867 წლის 30 აპრილს, როდესაც „კაპიტალის“ პირველი ტომი უკვე იბეჭდებოდა, კ. მარქსი ზ. მაიერს წერდა: „...რატომ აღარ გიპასუხეთ? იმიტომ, რომ მე მუდმივად სამარის პირას ვიდექი. ამიტომ მე უნდა გამომეყენებინა ყოველი მომენტი, როცა კი მუშაობის უნარი მქონდა, რათა დამემთავრებინა ჩემი ნაწარმოები, რომელსაც მე მსხვერპლად შევწირე ჩემი ჯანმრთელობა, ბედნიერება ცხოვრებისა და ჩემი ოჯახი“.

„კაპიტალის“ შექმნით კ. მარქსმა სასიკეთოდ განაჩენი გამოუტანა მთელ კაპიტალისტურ სამყაროს. ამ ნაშრომის გამოსვლა ნიშნავდა მეხის გავარდნას მოწშენდილ ცაზე. კ. მარქსი 1867 წლის 17 აპრილს ბეკერს წერდა: „ეუდავოა, რომ ეს ყველაზე საშინელი ყუმბარაა, რომელიც კი ოდესმე თავს დასტეხია ბურჟუებს“.

ამ გენიალური ნაშრომის პირველი ტომის გამოსვლამ შეაჯამა ახალი ეკონომიკური თეორიის შექმნისათვის კ. მარქსის მიერ გაწეული გიგანტური შრომა. ამ თეორიაში კ. მარქსმა გაარკვია და ახსნა კაპიტალისტური საზოგადოების სიღრმისეული პროცესები, მოსთვის დამახასიათებელი ანტაგონისტური წინააღმდეგობები, რომელთა გაუნყრილ გამწვავებას კაპიტალიზმი საბოლოო დაღუპვამდე მიჰყავს.

პროლეტარიატმა, მთელი მსოფლიოს მშრომელმა მასებმა „კაპიტალის“ სახით მიიღეს კაპიტალისტურ საზოგადოებრივ წყობილებაზე შეტევისა და ახალი სოციალისტური საზოგადოების აშენების უაღრესად მძლავრი და ქმედითი იდეური იარაღი. ფ. ენგელსი „კაპიტალის“ გამო დაწერილ ერთ-ერთ რეცენზიაში აღნიშნავს, რომ „მას აქვთ, რაც დედამიწაზე კაპიტალისტები და მუშები არსებობენ, მუშებისათვის ისეთი დიდმნიშვნელოვანი წიგნი არ გამოსულა, როგორიც წინამდებარე წიგნია“. კაპიტალის პირველი ტომის ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობაში კი იგი წერს: „კონტინენტზე „კაპიტალ“ ხშირად „მუშათა კლასის ბიბლიას“ უწოდებენ; „კაპიტალში“ გაკეთებული დასკვნები დღითი დღე სულ უფრო და უფრო ძირითადი პრინციპები ხდება მუშათა კლასის დიადი მოძრაობისათვის. მუშათა კლასი ამ დასკვნებს სულ უფრო და უფრო თავის მდგომარეობისა და თავის მისწრაფებათა ყველაზე შესაფერის გამოსახულებად ცნობს“.

ნაშრომში კონცენტრირებული სახით არის მოცემული კ. მარქსის მთელი ეკონომიკური მოძღვრების ძირითადი შინაარსი, რომელიც მარქსიზმის ერთიანი თეორიის ყველაზე მწყობრი, ღრმად გააზრებული მეცნიერული სისტემაა. „მარქსის თეორიის ყველაზე ღრმა, ყოველმხრივსა და დეტალურ დადასტურებას და გამოყენებას წარმოადგენს მისი ეკონომიკური მოძღვრება“, — წერდა ლენინი. კ. მარქსმა ამ ეკონომიკური მოძღვრების ძირითადი იდეა და მთავარი შინაარსია მოძღვრება საზოგადოების და, კერძოდ, კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების არსისა და განვითარების კანონზომიერების შესახებ.

როგორც ფ. ენგელსი მიუთითებს, „„კაპიტალში“ დიდი მეცნიერული სიღრმით არის დასაბუთებული ორი ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა: ისტორიის მატერიალისტური გაგება და ზედმეტი ღირებულების თეორიის შექმნა.

ისტორიის მატერიალისტური გაგება ნიშნავდა დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის გავრცელებას საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროზე, რითაც მარქსმა ძირეული რევოლუციური გადატრიალება მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერების

ფეხი აუწყოთ დროს

დღეს თავის მორიგ ახალ სეზონს ხსნიან თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული და მეტეხის ახალგაზრდული თეატრები. ორივე თეატრს ბევრი საერთო მიზანი და პრობლემა აქვს. ამიტომ მათს სამხატვრო ხელმძღვანელებს ჩვენმა კორესპონდენტმა რ. მუხიგულაშვილმა სამი შეკითხვით მიმართა.

1. რა მოგცათ გასულმა თეატრალურმა სეზონმა და რით გამოირჩეოდა იგი?

2. რა პრობლემები გაქვთ და მათგან უველაზე მეტად რომელი გიფიქრებთ?

3. რა სიახლეებს ველოდოთ ახალ სეზონში?

შალვა გაწერელია,

მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

1. თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რიგაში გასტროლები. სამი სპექტაკლი ვუჩვენეთ ლატვიელებს და გაგვახარა იმან, რომ მაყურებელმა გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი ხელოვნება, მოიწონა და ეს აღინიშნა კიდეც პრესაში.

2. დრომ მოიტანა, ხელახლა გავიაზროთ მოზარდ მაყურებელთა თეატრის ამოცანები. საქმე ის არის, რომ ერთგვარად გეზს გადავუხვიეთ და ზრუნვა დავიწყეთ მოზრდილთა ახალგაზრდულ სპექტაკლებზე. ვფიქრობ, დადგა დრო, ბავშვებს ცალკე თავისი სპეციფიკური თეატრი ჰქონდეთ. იგი სანახობრივი, მორალის თეატრი უნდა იყოს. ახალგაზრდული თეატრის მაყურებლები იქნებიან როგორც უფროსი კლასების მოსწავლეები, ისე სტუდენტები.

ყველაზე მტკივნეული პრობლემა, რომელიც ყველას გვაწუხებს, თეატრის შენობის საკითხია. საკუთარი ჭერის და ნორმალური პირობების უქონლობა ფსიქოლოგიურად ძალზე მოქმედებს დასზე და აძნელებს მსახიობთა შემოქმედებითი ზრდის პროცესებს. თეატრს არა აქვს სახელოსნოები, სათავსები, ერთი სიტყვით, ტექნიკურად ძალიან გვიჭირს.

3. თეატრს საინტერესო მიღწევები აქვს. ნოემბერში ერეკვანში დრამატული თეატრების საკავშირო ფესტივალში მივიღეთ მონაწილეობას. ეს ფრიად საპატიო მისიაა. შემდეგ ტაშკენტი უმასპინძლებს საბავშვო და ახალგაზრდული თეატრების საკავშირო ფესტივალს, რომელზეც დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებით“ წარვდგებით.

დასმა მუშაობა დაიწყო ახალგაზრდა დრამატურგის ი. სამსონაძის პიესაზე „ბედნიერი ბილეთი“. იგი საკმაოდ საინტერესო პიესაა და ახალგაზრდობის თვითსუფალი დროის პრობლემას ეხება. ვმუშაობთ გ. ბათიაშვილის პიესაზეც, რომელიც დიდი ილიას ცხოვრებასა და ეპოქას ეძღვნება. ვამთავრებთ მუშაობას გ. ჭიჭინაძის მუსიკალურ არაკ-ზღაპარზე „რწყილი და ჭიანჭველა“.

ცნობილმა დრამატურგმა ა. ჩხაიძემ გადაწყვიტა სპეციალურად ჩვენი თეატრისთვის დაწეროს პიესა. რეპერტუარში კვლავ რჩება გასული სეზონის საუკეთესო დადგმები. სეზონს კი ე. შვარცის ცნობილი პიესით „ჩვეულებრივი სასწაულით“ ეხსნით.

სანდრო მრევლიშვილი,

მეტეხის ახალგაზრდული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

1. შარშან ჩვენ ერთგვარად „მოვსინჯეთ“ ის მხატვრული მიმდინარეობა, რომელმაც ძირითადად უნდა განსაზღვროს ჩვენი თეატრის შემოქმედებითი პერსპექტივა. მართალია, წინა სეზონი არ იყო „უხვი“ ახალი სპექტაკლების რაოდენობით, მაგრამ ის, რაც დავდგით, პრინციპული ხასიათისაა. ეს პრესშიც აღინიშნა და მაყურებლის დამოკიდებულებითაც დადასტურდა.

2. ყოველგვარ ძიებას, შემოქმედებითს განვითარებას, მით უმეტეს ისეთი ხელოვნებისთვის, როგორიც თეატრია, შესაფერისი პირობები სჭირდება, მით უფრო თუ ახალ, რთულ ამოცანას ვუსახავთ ჩვენს შემოქმედებას.

მეტეხის ტაძარში თავის დროზე თეატრის დაფუძნება, რა თქმა უნდა, პროგრესული მოვლენა იყო. ახალგაზრდობისადმი ნდობამ, ისტორიული სიძველისა და თანამედროვეობის შერწყმამ, ერთ დროს ცოხედ გადაკეთებულ ტაძარში ქართული მხატვრული სიტყვის აღდგენამ ცოტა როდი შემატა ჩვენს სულიერ თუ კულტურულ ცხოვრებას. მაგრამ ჩვენი შემოქმედებითი აწმყო, მოთხოვნილებათა მასშტაბი ვეღარ ეტევა ამ პატარა ტაძარში და, როგორც პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, ეწინააღმდეგება გარემოსადმი სათუთ დამოკიდებულებას. სწორედ ამიტომ გაჩნდა ახალი გარემოს, ახალი შენობის ძიების სურვილი. უნდა აღვნიშნო, რომ კულტურის სამინისტრომ, ხელმძღვანელმა ამხანაგებმა, თეატრალურ მოღვაწეთა კავშირმა და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ყარგად გიგეს შექმნილი ვითარება, მხარში ამოგვიდგნენ და კონკრეტული გზებიც დაისახა ამ პრობლემის გადასაჭრელად.

3. პირველ პრემიერად მაყურებელს ვუჩვენებთ რ. მიშველაძის ნოველების მიხედვით შექმნილ სპექტაკლს. მწერალმა მწვავედ იგრძნო „დროთა კავშირი“ და საყურადღებო მასალა მოგვაწოდა. ეს იქნება გულახდილი სპექტაკლი. ვნახოთ, რა გამოგვივა.

მეორე პრემიერაზეც ვფიქრობთ. ეს არის თ. დოსტოევსკის რომანის „იდიოტის“ ინსცენირება. შემთხვევითი არ არის ამ ნაწარმოებისადმი ჩვენი ინტერესი. თეატრი „ჰამლეტით“ გაიხსნა. შემდეგ სერვანტესის „მწუხარე სახის რაინდიც“ დავდგით. ახლა „იდიოტი“. ვფიქრობთ, ეს თანამიმდევრობა ნათელყოფს ჩვენს პოზიციას კლასიკის მიმართ.

ხვაური... ფესრიგისათვის?!

აღიარებული ჭეშმარიტებაა — რაც უფრო მაღალი და კეთილი მიზანი ამოძრავებს ადამიანს, მით მეტი ტაქტი და გულისყური მოეთხოვება, რათა თუნდაც ერთი მოუზომავი ნაბიჯით, გნებავთ, უნებურად პრს წაცდენილი სიტყვით სხვების თვალში ჩრდილი არ მიაყენოს განზრახულს, კარგ საქმეზე ტყუილუბრალოდ ხელი არ ჩაქნევინოს.

ჩვენ კი, გაეეილს გატეხილი სკობს, როცა ჩამიე მნიშვნელოვან საქმეს წამოვიწყებთ, თითქოს წინასწარ ასკერ ავწონ-გავზომავთ ყველაფერს, აი, ასეთი „უმნიშვნელო“ დეტალებისთვის კი ვერ მოვიცლით ხოლმე.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ჩვენ სათქმელი ახლა დედაქალაქში მიმდინარე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ოპერატიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ერთთვიურს ეხება.

ენა ვის მოუბრუნდება, რამე აუგი თქვას ამ წამოწყებაზე. რა უნდა იყოს იმაზე უკეთესი, რასაც იგი ისახავს მიზნად: აღიკვეთოს ყოველგვარი სამართალდარღვევა.

ბუნებრივია, რომ, ასეთ დროს მთელი საზოგადოებრიობა, დიდ-პატარა ერთხმიერად არის მრწამდინებული, მაგრამ უფრო მეტი საკეთებელი მაინც სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკთა წილად მოდის, დანარჩენებს ისინი აძლევენ ტონს. მართლაც რომ, გაუორკეცდათ საზრუნავი მილიციელებს, ავტოინსპექტორებს, ყველას, ვისთვისაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა პროფესიული საქმეა.

შეუძლებელია ეს არ დაინახო და დიდად არ დაფასო!

მთ უფრო გაოცებს, ზოგი რა არხეინად ეპყრობა თავის საქმეს და მოვალეობას! მხედველობაში გვყავს ჩვენი მილიციის ზოგიერთი მუშაკი, პირველ რიგში ისინი, ვინც ავტოინსპექციის მანქანის საქმე უსხედან.

იმათი შემხედვარე, იფიქრებ, ეს ყოველივე, ასე ძნელი და მნიშვნელოვანი, რატომღაც „თამაშად და უჩინთ მღერაუო“.

იმის მაგიერ, რომ მინდობილ საქმეს მთელი სურიოზულობით მოეკიდონ, საკუთარი „შეუზღუდავი უფლებების“ დემონსტირებას მოისურვებენ ხოლმე. არც დროს დაგიდევენ, არც ყამს, საჭიროა თუ არა, არცთუ დახვეწილი ენით აფრქვევენ ათასგვარ „შეგონებებს“ მთელი სიძლიერით ჩართული დინამიკებიდან!

ვიეთნი, შესაძლოა, მაგასაც არ დასჯერდნენ და ყურისწამდები ხმით უმისამართოდ წარმოთქმულ სიტყვებს საგანგაშო სირენის ხმაც ზედ დაურთონ!

ახლა მიკროფონით ხრიგინაც როგორ ემარჯვება ზოგ-ზოგს!..

დღისით კიდევ რა გვეჭირს, წარმოიდგინეთ რა გვემართება, როცა შუაღამისას ამნაირი კაკაფონიით დაგვიფრთხობენ ძილს, აქაოდა, წესრიგს ვიცავთო!

უცნაურია, მეტ რომ არ ვთქვათ.

როგორ გინდა გაამტყუნო, თუ ყოველივე ამის შემდეგ ძილდაფრთხალი და იქნებ ცოტა შიშნაჭამი მოქალაქე თავისთვის დაასკვნის: არა, თქვენი ჭირიმე, ამნაირი ზრიალ-წრიალით გაკეთებულს ვერფერს ვიწამებო.

ასეა და რას იზამ, ყველაფერი წრეგადასულ ეჭვსა და ეწდობლობას ბადებს; ვინც სერიოზულ საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდება, იმას უაზრო ხმაურისათვის არც დრო რჩება და არც სურვილი.

გვერწმუნეთ, რასაც მოგახსენებთ, არამც და არამც არ ყარის წვრილმანი.

ყველაფერს, რაც დედაქალაქის სახელსა და ღირსებას, მის მკვიდრთა სასიკეთოდ წამოწყებულ საქმეს უკავშირდება, განსაკუთრებული სიფრთხილე, მოწიწება, გარჯა და რუდუნება უნდა.

ნუ დაივიწყებთ ამას, როცა მძლავრი რეპროდუქტორებით აღჭურვილ ავტომობილში მიკროფონისკენ გავიწვდით ხელს!

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, სხვათა შორის, ზედმეტი ხმაურის აღკვეთაც იგულისხმება!

თ. გიორგაძე.

ანტიკური ეპოქა... ფესრიგისათვის?!

(დასასრული)

სასაფეთქლებისათვის არის დამახასიათებელი საყურე რგოლის წინა მხარის ვარდულით შემკობა. ასევე დამახასიათებელია ცვარათი შედგენილი სამკუთხედებითა და პირამიდებით დაბოლოება ვანშივე წინა წლებში აღმოჩენილი სხვა ტიპის („სხივანა“, „ჭვირუღბურთულოვანი“) საყურეებისათვის.

ბრტყელი ზედაპირის ცვარათი მორთვა უკვე ძვ. წ. V საუკუნეში ჩნდება კოლხეთში, როგორც ამას ვანშივე აღმოჩენილი, ახლა საყოველთაოდ ცნობილი კუს გამოსახულებანი ყელსაბამი მოწმობს. ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებით შემკული აგრეთვე (ცნობილი ახალგორული სასაფთქლეების მსგავსად) ასევე ვანში აღმოჩენილი ძვ. წ. III საუკუნის დამდეგით დათარიღებული წყვილი ოქროს საყურეკ. ასე რომ, ახალაღმოჩენილ საყურეზე დადასტურებულ ამ მხატვრულ-სტილისტურ ნიშნსაც სათავეცა და ტრადიციის გაგრძელებაც ადგილობრივ ნიადაგზე მოეძებნება. და ბოლოს ჩიტების ნაქანდაკევი გამოსახულებებით შემკობა გვხვდება ვანშივე აღმოჩენილ და ძვ. წ. V საუკუნის ე. წ. „სხივანა“ ოქროს საყურებზეც, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული განაწილებით. აშკარაა, ნაქანდაკევი ჩიტებით საყურეების შემკობა აგრევე იყო ცნობილი კოლხეთში და სრულიად გარკვეული სიმბოლიკა ჰქონდა: ფრინველი (ჩიტი) მიწათმოქმედების მფარველი მცენარეულობისა და ცხოველთა გამმრავლებელი, ყოველისშემქმნელი მიწის უმაღლესი ღვთაების — „დიდი დედის“ ერთ-ერთი ატრიბუტი იყო. ამ ღვთაების კულტი კი კოლხეთში უკვე მრავალი აღმოჩენით არის დადასტურებული.

ამრიგად, ვანის ახალაღმოჩენილი ოქროს უნატეფესი საყურეები არა მარტო ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშია, არამედ, ამასთან ერთად, კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ ადასტურებენ კოლხეთში ორიგინალური, თვითმყოფადი საოქრომჭედლო სკოლის არსებობას, რომელიც ფართოდ იყენებდა ამ ხელოვნების ურთულეს ტექნიკურ ხერხებს.

ეს ამ ახალი აღმოჩენის საფუძველზეც შეგვიძლია უკვე, **უეოყმანოდ ვთქვათ, რომ კოლხური ოქრომჭედლობის ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრი სწორედ ძველ ვანში იყო.** აქ ძვ. წ. V, IV და III საუკუნეებში იქმნებოდა მაღალმხატვრული სამკაულის შესანიშნავი ნიმუშები, მხოლოდ კოლხეთისათვის ტიპური და დამახასიათებელი, ტიპოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური ერთიანობით. იქნებ ამ სამკაულებმაც გაუთქვა კოლხეთს ანტიკურ სამყაროში „ოქრომრავალი“ ქვეყნის სახელი...

ახალი აღმოჩენა ვანში დიდმნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიისთვისაც. იგი თვალნათლივ მოწმობს აგვიღიბრივ საზოგადოებაში შორეულ წარსულში არსებულ მკვეთრ სოციალურ და, შესაბამისად, ქონებრივ დიფერენციაციას. ამასთან ერთად იგი ეხმაურება სხვა რიგის აღმოჩენებსაც. მაგალითად, ახალ ულერადობას იძენს თუნდაც ძვ. წ. V-III საუკუნეებით დათარიღებული ადგილობრივი კრამიტი, რომელზეც ჩნდება სამეფო სახელოსნო დამლები მეფისა და, შესაძლოა, აგრეთვე სახელოსნოს მესვეურთა სახელების აღნიშვნით...

ახალმა აღმოჩენამ კიდევ უფრო გააძლიერა ვანის არქეოლოგიური მუზეუმი. ახლა ღღის წესრიგში გადაუდებელ დგება საკითხი დიდი მუზეუმების მსგავსად ვანის არქეოლოგიურ მუზეუმშიც შეიქმნას მეცნიერული და მხატვრული თვალსაზრისით განსაკუთრებით ძვირფას ნივთთა საგანგებო საცავ-გამოფენა („სეიფი“). იგი ფარფოდ მისაწვდომს გახდის არქეოლოგთა ამ მონაპოვარს ჩვენი საზოგადოებრიობისათვის, რომელიც ესოდენ დიდ ინტერესს იჩენს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისადმი.

ნ. სულაძე,
ფ. კრიმსკი,
„კომუნისტის“ სპეც. კორეს-პონდენტები.







სურათებზე: ცალკეა ფურცელი, ოქროს საყურეები, ოქროს ფირფიტა, ოქროს ფირფიტა, ოქროს ფირფიტა.

ბუნებრივი ეკრანზე

ვოსკოვი

15 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — პოკეი. კანადის თასი. მე-2 ფინალური მატჩი. 11.35 და 17.00 — ახალი ამბები. 17.15 — კომპოზიტორ რ. შჩედრინის შეხვედრა მოსკოვის საგუნდო სასწავლებლის მოსწავლეებთან. 18.15 — ახალი ამბები. 18.20 — ფილოსოფიური საუბრები. 19.05 — მულტფილმი. 19.15 — ჩვენი ბალი. 19.45 — ღღეს მსოფლიოში. 20.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. საბჭოთა მოლდავეთი. მოლდავეთის ტელევიზიის პროგრამა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — ავტორის სიმღერის საღამო. 0.20 — ღღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა: 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „თამარ სოკოლენკოს საფიქრალი და იმედები“. 9.35 და 10.35 — ჩვენი გარემომცველი სამყარო. II კლასი. 9.55; 10.55 და 12.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.05 და 14.20 — ფრანგული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ისტორია. 11.35 და 12.40 — ბიოლოგია. V კლასი. 11.55 — რუსული მეტყველება. 12.00 — მხატვრული ფილმი „სურათი“. I სერია. 14.50 — შენი ლენინური ბიბლიოთეკა. ვ. ი. ლენინი — „ახალგაზრდობის კავშირების ამოცანები“. 15.20 — ახალი ამბები. 15.25 — ლ. ანდრეევი. ცხოვრება და შემოქმედება. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — რიტმული ტანვარჯიში. 19.45 — ვიფიქროთ ერთად. 20.30 — რეკლამა. 20.35 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 20.15 — კალათბურთი. საკონტინენტთაშორისო თასი. ესპანეთის „ბარსელონა“ — ამერიკის „ვაშინგტონ ოლდ სტარზი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — „სურათი“. II სერია. 0.10 — ახალი ამბები.

თბილისი

15 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. ღილის საინფორმაციო-მუსიკალური გადაცემა. 9.35 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ღღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — საესტრადო პანორამა. 17.10 — განცხადებები. 17.15 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კაუნასი — მუდამ კაუნასია“. 17.45 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 18.10 — რეკლამა. 18.20 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა“. 18.40 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „შეხვედრები თეთრი ღამეების ქვეყანაში“. 19.25 — მოამბე. 20.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „საბჭოთა მოლდავეთი“ (მოლდავეთის ტელევიზიის გადაცემა (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.55 — სატელევიზიო ფესტივალი „სიცილი ეკრანზე“. ქართული მხატვრული ფილმი „მხიარული რომანი“.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მაიორი ვიხრი“. (პირველი სერია). 17.45 — დოკუმენტური ფილმი „ილა პარაკე, გისმენ!“. 18.35 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ახალგაზრდა მწყობრში“. 18.55 — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბორანი“. 19.25 — მოამბე. 20.00 — „მუსიკის სამყაროში“. 21.10 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფოლადის სახალხო კომისარი“.

15 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **მეფე ლირი**; მეტეხის — **პატარა ხე უბედურება**; მოზარდ მაყურებელთა ქართული — **ჩვეულებრივი სასწაული** (31-ე აბონ. დასაწყ. 7 ს.).

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭო

იუწყება, რომ 1987 წლის 16 ოქტომბერს ქ. თბილისში, საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა VII ყრილობა.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

დღეს შავიზღვისპირა ქალაქ ბათუმში საინტერესო მოვლენის, საოპერო მუსიკის დღესასწაულის გახსნის მოწმენი გახდებიან.

ბათუმს მუსიკალური შეეოდგომა

ოც სექტემბრამდე გასტანს. იგი ბევრ სიახლეს ჰპირდება მუსიკის მოყვარულთ. მასში მონაწილეობას მიიღებენ თბილისელი, რუსი, აზერბაიჯანელი, სომეხი მომღერლები. აქ კონცერტზე გამოვლენ სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი იგორ მოროზოვი, ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ლიტვისა და სომხეთის დამსახურებული არტისტი გეღამ გრიგორიანი და სხვები.

ოც სექტემბერს, ზეიმის ბოლო დღეს, ნაჩვენები იქნება ვერდის ოპერა „დონ-კარლოსი“ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის, საქართველოს სახალხო არტისტის პაატა ბურუჩულაძის მონაწილეობით, სპექტაკლს უდირიჟორებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ჯანსუღ კახიძე.

▲▲

საქართველო ინტერნაციონალური რესპუბლიკაა, სადაც ერთ ჭერქვეშ მოღვაწეობენ სხვადასხვა ეროვნების მწერლები, შემოქმედებითი მუშაკები. სწორედ რომ მტკიცეა

მეგობრობის ხიდი

გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის 31-ე ლიტერატურული ალმანახი „კარმუჩი“ („ხიდი“).

წლევანდელი ალმანახი განსაკუთრებულია, — თქვა მისმა რედაქტორმა ა. ჩობანიანმა, — იგი ეძღვნება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს. ალმანახში დაბეჭდილი ყველა ნაწარმოები თითქოს კოლექტიური მოთხრობაა საქართველოში მიმდინარე უდიდეს გარდაქმნაზე, სადაც მრავალად ცხოვრობენ სომხები.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისა და საქინფორმის მასალები ამ რუბრიკისათვის მოამზადა **ლ. ქინლაძემ.**

„ბაფხულის“ დროის გაუქმების შესახებ

სსრ კავშირის ერთიანი დროისა და ეტალონური სიხშირეთა სახელმწიფო კომისია გვაუწყებს, რომ 1987 წლის 27 სექტემბრიდან საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე უქმდება „ზაფხულის“ დრო.

„ზაფხულის“ დრო გაუქმდება 1987 წლის 27 სექტემბერს 3 საათზე, რისთვისაც საათის ისარი ერთი საათით უკან უნდა გადავწიოთ.

(საკდესი)

„თრიალეთობა“

წალკის რაიონის ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის სტაბილური ტენდენცია, მისი მცხოვრებლების კეთილდღეობის გაუმჯობესება იმის შედეგია, რომ აქ ერთსულოვნად მუშაობენ შრომითი კოლექტივები, სადაც მხარდამხარ, ძმურად, მეგობრულად შრომობენ ქართველები და ბერძნები, სომხები და რუსები, ოსები და აზერბაიჯანელები. ეს მეგობრობა გახდა სწორედ ტრადიციული საახალო დღესასწაულის „თრიალეთობის“ ლაიტმოტივი.

დღესასწაულის დაწყებამდე ზეიმის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს წალკაში გახსნილი ძველი ბერძენი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის არისტოტელეს ძეგლი. თავის თხზულებებში იგი ქადაგებდა მაღალ მოქალაქეობრივ იდეალებს, ადამიანის გონებისა და თავისუფლების რწმენას.

ზეიმზე მიწვეულთა შორის იყვნენ მწერლები და პოეტები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადო მოღვაწეები, საქართველოში დამთავრებული მორიგი „არისტოტელეს კითხვების“ მონაწილენი.

ინტერნაციონალური მეგობრობის დიდი და ლამაზი დღესასწაული „თრიალეთობა“ კონცერტით დასრულდა. მრავალ ენაზე გაისმოდა სიტყვები „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“. (საქინფორმი).

სურათებზე: ცეკვა „ქართულს“ ასრულებენ დაბა ბედიანის საშუალო სკოლის მოსწავლეები და-ძმა ირმა და ნუკრი ქრისტესიაშვილები; გამოდიან ფოლკლორული ანსამბლის „ირაგანის“ წევრები; ზეიმის მონაწილენი.

ვ. გენგიურის ფოტო.

აღიარება

ქართველი მეცნიერი — საერთაშორისო საზოგადოების წევრი

24-29 აგვისტოს ჰელსინკში გაიმართა VIII საერთაშორისო კონგრესი, რომელიც მიეძღვნა შუა საუკუნეების ფილოსოფიური აზროვნების საკითხებს. კონგრესში მონაწილეობდა მსოფლიოს 35 ქვეყნის 270 მეცნიერისტი. განიხილველნენ თემას — ცოდნა და მეცნიერული აზროვნება შუა საუკუნეების ფილოსოფიაში, რომელიც განვითარდა ორმდენიმე მიმართულებით: შუა საუკუნეების მეცნიერებისა და ფილოსოფიის ისტორია, თხზულებათა კრიტიკული გამოცემები, კომპიუტერული ლინგვისტიკა და შუა საუკუნეების ტექსტების შესწავლა, ისლამური ფილოსოფია და მეცნიერება, ბიზანტიური ფილოსოფია, არისტოტელეს თხზულებათა ლათინური თარგმანები და მათი შუა საუკუნეების კომენტარები, ტრივიუმი (შუა საუკუნეების სასწავლო დისციპლინები).

კონგრესის მონაწილეთა შორის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე. მან წაიკითხა მოხსენება თემაზე „მეცნიერული ცოდნის ელემენტები შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანში“.

პროფესორი ე. ხინთიბიძე აირჩიეს შუა საუკუნეების ფილოსოფიური აზროვნების პრობლემების მკვლევარ ფილოსოფოსთა საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილ წევრად.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

ორი საგგურისათვის

ლევიტინა-კლიმოვას პარტიაში გათამაშდა ლაზიერის პაიკის დასაწყისის ერთი იშვიათი ვარიანტი. ეს ვარიანტი თითქოს შავებისათვის უხიფათოა, მაგრამ მთგან უზუსტეს თამაშს მოითხოვს. საკმარისი იყო კლიმოვა ოდნავ შეფერხებულიყო, რომ მისი პოზიცია გაუარესდა. ლენინგრადელმა გახსნა კიდური ხაზი საიერიშოდ და მეფის ფრთაზე ძალების თავმოყრა დაიწყო. მომდევნო თამაშში კლიმოვა აქტიურად იცავდა თავს. ლევიტინამ შესწორა ფიგურა, მოარღვია შავი მეფის საფარი, მაგრამ შეტევის შემდგომი გაძლიერების რესურსები აღარ ჰქონდა. ლევიტინას გაანარკულებაში იყო კიდევ ერთი გზა: მას შეეძლო შეხვედრა მუდმივი ქიშით ყაიმით დაემთავრებინა, რაც მან გააკეთა კიდეც. ეს 25-ე სვლაზე მოხდა.

ლევიტინა — კლიმოვა

ლაზიერის პაიკის დასაწყისი

1. d4 ∅f6 2. ∅f3 g6 3. ∅c3 d6 4. ♗f4 ♗g7 5. e3 0-0 6. ♕e2 c5 7. de5 b6 8. h4 ♗a6 9. ♗f3 ♘b7 10. h5 ♗a6 11. hg hg 12. ♗g4 ♘c8 13. ♖f8 ♘e8 14. 0-0-0 cd 15. ed ∅b4 16. a3 ∅a6 17. ♘:c8 ♘:c8 18. ♖h8 ∅h5 19. ∅:g6 fg 20. ♕e6+ ♔f8 21. ♕:g6 ∅:f4 22. ♖f5+ ♔g8 23. ♖h7+ ♔f7 24. ♖f5+ ♔g8 25. ♖h7+ ½:½

ძნელი მატჩი

თბილისის „დინამოს“ და ერევნის „არარატს“ ამჟამად ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ამოცანები აქვთ დასახული და, ცხადია, ერევანში რაზდანის სტადიონზე ამ ორიოდე დღის წინათ გამართულ მატჩში წარმატებისათვის ფეხბურთელთა შეუპოვრობა არავისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. შევნიშნავთ იმასაც, რომ თბილისელებმა წლევანდელ სეზონში სტუმრად გამართული მატჩებიდან ამჯერად გაცილებით დამაჯერებლად და შემართებით ითამაშეს. ოღონდ ეს კია, მასპინძელთა კარში ჩივაძის მიერ გატანილი ბურთის (მე-13 წუთზე) შემდეგ დინამელები უმეტესწილად კონტრშეტევებზე აგებული თამაშით ცდილობდნენ ანგარიშის შენარჩუნებას და მთავარი ყურადღება საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ჰქონდათ გადატანილი. ცხადია, ამ გარემოებამ ერთგვარად ხელფეხი გაუხსნა ერევნელ ფეხბურთელებს და ისინი სულ ერთთავად იმის ცდაში იყვნენ, რომ ჯერ ანგარიში გაეთანაბრებინათ, შემდეგ კი დაწინაურებულიყვნენ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მათ ეს ამოცანა ორი ერთობ სადავო 11-მეტრიანი საჯარიმოს რეალიზაციის შედეგად გადაწყვიტეს (66-ე და 75-ე წუთებზე). ორივეჯერ ბურთი გაიტანა ხაჩატრიანმა.

ვინც ამ მატჩს თვალს ადევნებდა, უთუოდ გაახსენდება, რომ მეორე ტაიმი გაცილებით ხისტად მიმდინარეობდა და ერთხელ საკონფლიქტო სიტუაციაც მოჰყვა, რამლის უშუალო მონაწილეები იყვნენ ერევნელი სარქისიანი და თბილისელი ცვეიბა. ერთიც და მეორეც ზომაზე მეტად გაფიცხდნენ და ამაც ის მოჰყვა, რომ მატჩის არბიტრმა ს. ჰუსაინოვმა ორივე გააძევა მოედნიდან. უთუოდ დასანანი ფაქტია: საკუთარი კოლექტივის დაღალატება ხომ არც ერთს მიეტევება და არც მეორეს.

ტელევიზიის თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით არაერთხელ გამოთქმულა აზრი იმის თაობაზე, რომ წლევანდელ სეზონში არბიტრები არცთუ იშვიათად აშკარად მცდარ გადაწყვეტილებებს ღებულობენ, განსაკუთრებით კი პენალტების დანიშვნის ან არდანიშვნის დროს. ცხადია, ასეთ ვითარებაში მავანი და მავანი გუნდი ზარალდება. გაანალიზებული მატჩის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ მხრივ მხოლოდ და მხოლოდ თბილისის „დინამო“ დაზარალდა. ასეა თუ ისე, ვიდეოფირი უკანაც რომ დავატრიალოთ, საქმეს აღარფერი ეშველება. და ეს მით უფრო საწყენია, რომ „დინამო“ ამ დღეს შეუპოვრად, მართლაც შეუპოვრად იბრძოდა. ეს მატჩი თბილისელთათვის მეტად ძნელი აღმოჩნდა.

ჩვენს გუნდს ძნელბედობაში ყვავილანი მხარში ვუდგავართ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არ შევამჩნიოთ ის ხარვეზები, რომლებიც განვლილ მატჩშიც გამოჩნდა: თუნდაც ის, რომ დაცვითი პოზიციიდან დროულად ვერ გადავდივართ საიერიშო მოქმედებაზე, მოედნის საკუთარ ნახევარზე კი მეტოქეებს თავისუფლად მანევრირების საშუალებას ვაძლევთ. ყოველივე ეს უთუოდ გასათვალისწინებელია. ერთი სიტყვით, როცა უკან დასახვევი გზა მოჭრილია